ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 21 დეკემბერი 1993 № 28 (75) ფასი 1800 კუპონი

**5 ექვსეული ცნობილია**

ხელბურთელები სამი თვით ისვენებენ

**6 უჩემპიონო ჩემპიონატი**



თამაშის ნაცვლად — ყრილობა

**7 სამი თამაში დარჩა**

კალათბურთელთა საახალწლო არდადეგები

**8 უცხო ხილი**



სქვოში

# შოთა — შაითან, არჩი — ჯამბაზ




ბოლო დროს თურქული გაზეთები არველაძეების ფოტოებითაა აჭრელებული, ტრაპიზონის სტადიონზე ტყუპების გამოჩენისას კი ქარმაგი, კრიალოსნიანი „ეფენდებიც" ქუდს კარგავენ. „ტრაბზონსპორის" ქომაგებს, რომლებმაც შოთას შაითანი შეარქვეს, არჩილს კი ჯამბაზი, უკვე სჯერათ, რომ ჩემპიონები გახდებიან. შოთამ ხუთ თამაშში ექვსი გოლი გაიტანა და გუნდიც მეცხრედან მეოთხე ადგილამდე აღზევდა. მას ბოლო თამაშში ტრავმის გამო არ უთამაშია, მაგრამ გამარჯვების გოლი არჩილმა შეაგდო!

არველაძეების ამბებს ვრცლად შემდეგ ნომერში მიმოვიხილავთ, რომელიც საახალწლოდ გვაქვს დაგეგმილი, დღეს კი მესამე გვერდზე სხვა ქართველ ლეგიონერებს შეხვდებით.

# ევროპის ჩემპიონატზე დაგვიშვეს!

შაბათს თბილიში დაბრუნდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი, რომელიც ჟენევაში იმყოფებოდა. გუშინ შევხვდით ბატონ ნოდარს და ვთხოვეთ მოეთხრო, თუ რა ხდებოდა შვეიცარიაში.

— 15 დეკემბერს ჩატარდა 1995 წლის ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატის (16 და 18 წლამდე) შესარჩევი ტურნირების კენჭისყრა. საქართველოს 16 წლიანთა ნაკრები მოხვდა IX ჯგუფში, სადაც სომხეთისა და სლოვენიის გუნდებს შეხვდება. სომხეთი იქნება ჩვენი მეტოქე 18 წლიანთა შორისაც. აქ ჩვენები VIII ჯგუფში მოხვდნენ სომხეთთან და უკრაინასთან ერთად. ორივე ჩემპიონატის ფინალური ეტაპი 1995 წელს გაიმართება: 16 წლიანებისა ბელგიაში, 18 წლიანებისა კი — საბერძნეთში. შესარჩევი მატჩები გაისად უნდა შედგეს.

**— ჭაბუკები მეტოქეებს შინ მიიღებენ?**

— არა, უეფა კვლავ ერიდება ჩვენში საერთაშორისო მატჩების ჩატარებას. კენჭისყრამდე ორი დღით ადრე უეფას საგანგებო მდგომარეობათა კომიტეტმა („ტასკ-ფორსი") გამოიტანა დადგენილება, რომ იმ ჯგუფებში, სადაც სომხეთის, აზერბაიჯანის, მოლდოვას, საქართველოსა და ხორვატიის გუნდები მოხვდებიან, შესარჩევი ტურნირი ერთ წრედ რომელიმე ერთ ქვეყანაში გაიმართება ისევე, როგორც წლეულს ითამაშეს ჩვენმა ნაკრებებმა ისრაელსა და სლოვენიაში.

**— მთავარი მაინც ჩვენი ეროვნული გუნდია. მიიღებს თუ არა იგი მონაწილეობას 1996 წლის ევროპის ჩემპიონატში?**

— იმავე „ტასკ-ფორსმა", რომლის შემადგენლობაში შედიან თურქი სენეჩ იერზიქი (თავმჯდომარე), ჟან ფურნე-ფაიარი (საფრანგეთი), ელერტ შრამი (ისლანდია), ერნსტ უოკერი (შოტლანდია) და გერდ აიგნერი (გერმანია), 13 დეკემბრის სხდომაზე ასეთი დადგენილება მიიღო: „ვიუწყებით, რომ ყველა ქვეყანა, რომლებმაც განაცხადები გააკეთეს, მონაწილეობას მიიღებენ ევროპის ჩემპიონატის კენჭისყრაში, რომელიც 22 იანვარს მანჩესტერში შედგება. დაშვებულია 46 ქვეყანა. გამოვთქვამთ შეშფოთებას სომხეთში, აზერბაიჯანში, საქართველოსა და ხორვატიაში შექმნილი სიტუაციით. ყველა ეს ქვეყანა ჩაბმულია საომარ კონფლიქტში, ამიტომ თუ ეს სიტუაცია ხიფათს შეუქმნის მონაწილეებს და ოფიციალურ პირებს, ამ ქვეყნების ნაკრებები მატჩებს ნეიტრალურ მოედანზე ჩაატარებენ: პირველი სამი — „სნგ"-ს ტერიტორიაზე, ხორვატია კი — მეზობელ ქვეყანაში". ამავე დადგენილებაში ნათქვამია, რომ ალმოსავლეთ ევროპის რიგ ქვეყნებში შექმნილი მძიმე სოციალურ-პოლიტიკური სიტუაციის დასაძლევად უეფა ითანამშრომლებს ამ ქვეყნების ფედერაციებთან, მაგრამ „მთავარი პასუხისმგებელი ეროვნული ფედერაცია იქნება".

**— თქვენ გაემგზავრებით მანჩესტერში?**

— კენჭისყრას ალბათ ნაკრების მთავარი მწვრთნელი ალექსანდრე ჩივაძე დაესწრება. აქვე გეტყვით, რომ 22 იანვარს შედგება ახალგაზრდული ნაკრებების კენჭისყრაც. ისინი იმავე ქვეყნების ნაკრებებს შეხვდებიან, რომელსაც მთავარი გუნდი.

**— შესარჩევი მატჩები 1994 წლის შემოდგომიდან დაიწყება, მანამდე კი ნაკრები ალბათ საკონტროლო მატჩებს გამართავს...**

— 8-12 თებერვალს ჩვენი ნაკრები მონაწილეობას მიიღებს მალტის საერთაშორისო ტურნირში, რომელიც ოთხ წელიწადში ერთხელ ტარდება. მასპინძელთა გარდა შევხვდებით ტუნისისა და სლოვენიის ნაკრებებს. თუ გაუთვალისწინებელი არაფერი მოხდა, ნაკრებში ყველა „ლეგიონერი" ითამაშებს.

**— ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ჩივაძე იქნება ჩვენი ნაკრების მწვრთნელი თუ იგი დროებითაა დანიშნული?**

— მალე შევქმნით მწვრთნელთა საბჭოს, რომელშიც გაერთიანებული იქნება მთელი ჩვენი პოტენციალი. იგი განიხილავს და დაამტკიცებს ნაკრებების შემადგენლობას. საბჭო იანვრის დასაწყისში შეიკრიბება და განიხილავს ნაკრების მწვრთნელის კანდიდატურებს და დასამტკიცებლად ფედერაციის აღმასკომს წარუდგენს.

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ ამჟამად ქართველ მწვრთნელთა დონე არ შეესაბამება მსოფლიო სტანდარტებს და უმჯობესია ნაკრების მწვრთნელად მაინც უცხოელი, თუნდაც რუსი მოვიწვიოთ?**

— არავითარ შემთხვევაში. ჩვენშიც არიან კვალიფიციური მწვრთნელები. „უცხოელების მოყვარულებმა" კი ჩვენი მწვრთნელების კრიტიკის მაგივრად იმას შეხედონ, თუ რა პირობებში მუშაობენ ისინი — ფეხბურთელების წყალი არა აქვთ, კვებაზე რომ არაფერი ვთქვათ. ჩვენ ჩვენი კადრები უნდა ალვზარდოთ. უკვე დასრულების სტადიაშია ევროპის ზოგიერთ ფედერაციასთან მოლაპარაკება, რომ ყოველწლიურად ქართველმა მწვრთნელებმა უცხოეთში სტაჟირება გაიარონ.

**— დადის ხმები, რომ მარტიდან ახალი ჩემპიონატი დაიწყება...**

— ეს არ მოხდება. ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ გადავედით ევროპულ, შემოდგომა-გაზაფხულის სისტემაზე. ველოდებით პირველი ეტაპის დამთავრებას, მერე კი გავაანალიზებთ პირველ წრეს და შექმნილ სიტუაციას და ამის მიხედვით გადავწყვეტავთ. ორი რამ ნაღდია: ერთი ის, რომ მაისისთვის ჩემპიონი და თასის მფლობელი უნდა გამოვლინდეს და მეორეც, მომავალი კალენდრის შედგენისას უპირატესობა ნაკრების ინტერესებს მიენიჭება.

**— აფხაზეთის ომმა ბევრ უბედურებასთან ერთად ის პრობლემაც გაგვიჩინა, რომ საუკეთესო საფეხბურთო ბაზები ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩა.**

— ჯერ კიდევ სამი წლის წინ ჩვენ ბალანსიდან ბალანსზე გადმოგვეცა ლაგოდეხის სტადიონი. უახლოეს დროში სწორედ ლაგოდეხის ბაზა გახდება ჩვენი გუნდების მომზადების ცენტრი. ახლა კი გუნდების შეკრების პრობლემა ერთ-ერთი უპირველესია. გასულ თვეში, როცა ჩვენი ჭაბუკთა ნაკრები ისრაელში ოფიციალურ ტურნირზე მიდიოდა, მხოლოდ ჩვენი აზერბაიჯანელი მეგობრების წყალობით შევძელით შეკრების ორგანიზება — მეზობლებმა ბაქოსთან მდებარე მთავრობის აგარაკები დაგვითმეს და გუნდმა ერთი კვირა იქ გაატარა. ახლომდებარე სახლების ბინადართ თურმე საკუთარი საჭმელ-სასმელი მიჰქონდათ ჩვენი ფეხბურთელებისათვის.

**— მოკლედ, ამ გაჭირვებისას კიდევ რაღაცას აპირებთ...**

— მთავარი მაინც ისაა, რომ ამ მძიმე სოციალურ-პოლიტიკური სიტუაციის, კავშირგაბმულობის მოშლის (ორი თვეა ფაქსი ველარ მიგვიღია) და სხვა სირთულეების მიუხედავად საქართველოს ნაკრებები ოფიციალურ ტურნირებში ჩაერთვნენ. სსრკ ფედერაციიდან ჩვენი გამოსვლის მთავარი მიზანიც ხომ სწორედ ეს იყო.

ზურაბ მეძველია

WORLD CUP '94

# წილი ნაყარია!

**A** აშშ, შვეიცარია, კოლუმბია, რუმინეთი

**B** ბრაზილია, რუსეთი, კამერუნი, შვედეთი

**C** გერმანია, ბოლივია, ესპანეთი, კორეა

**D** არგენტინა, საბერძნეთი, ნიგერია, ბულგარეთი

**E** იტალია, ირლანდია, ნორვეგია, მექსიკა

**F** ბელგია, მაროკო, ჰოლანდია, საუდის არაბეთი

მსოფლიო მომავალი ჩემპიონატის ამბები შეხვედრათა განრიგითურთ

— მეორე გვერდზე



# ლუარსაბიშვილი კლასიფიკაციაში პირველია

ბოლო დროს სხვადასხვა ქვეყნის კორტებზე მიღწეული წარმატებების შედეგად 17 წლის თბილისელი ჩოგბურთელი ნინო ლუარსაბიშვილი თანატოლთა მსოფლიო კლასიფიკაციაში მეხუთედან პირველ ადგილზე გადავიდა.

# დევისის თასზე

საქართველოს ნაკრები გაისად პირველად გამოვა დევისის თასზე ევრო-აფრიკის III ჯგუფში სპილოს ძვლის ნაპირის, ჯიბუტის, ზამბიისა და სან-მარინოს გუნდებთან ერთად.

## ამერიკა-94: შეხვედრათა განრიგი

A: აშშ, შვეიცარია, კოლუმბია, რუმინეთი
B: ბრაზილია, რუსეთი, კამერუნი, შვედეთი

ლოს ანჯელესი, „როუზ ბოული"; სან ფრანსისკო, „სტენფორდი"; დეტროიტი, „პონტიაკ სილვერდოუმი"

C: გერმანია, ბოლივია, ესპანეთი, კორეა
D: არგენტინა, საბერძნეთი, ნიგერია, ბულგარეთი

ჩიკაგო, „სოულჯერ ფილდი"; ბოსტონი, „ფოქსბრო"; დალასი, „კოტონ ბოული"

E: იტალია, ირლანდია, ნორვეგია, მექსიკა
F: ბელგია, მაროკო, ჰოლანდია, საუდის არაბეთი

ნიუ იორკი, „ჯაიანთსი"; ორლანდო, „სიტრუს ბოული"; ვაშინგტონი, „კენედი მემორიალი"

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 17 ივნისი | ჩიკაგო | C | გერმანია — ბოლივია | 1 |
| | დალასი | C | ესპანეთი — კორეა | 2 |
| 18 ივნისი | ლოს ანჯელესი | A | კოლუმბია — რუმინეთი | 3 |
| | დეტროიტი | A | აშშ — შვეიცარია | 4 |
| | ნიუ იორკი | E | იტალია — ირლანდია | 5 |
| 19 ივნისი | ლოს ანჯელესი | B | კამერუნი — შვედეთი | 6 |
| | ორლანდო | F | ბელგია — მაროკო | 7 |
| | ვაშინგტონი | E | ნორვეგია — მექსიკა | 8 |
| 20 ივნისი | სან ფრანსისკო | B | ბრაზილია — რუსეთი | 9 |
| | ვაშინგტონი | F | ჰოლანდია — საუდის არაბეთი | 10 |
| 21 ივნისი | ბოსტონი | D | არგენტინა — საბერძნეთი | 11 |
| | დალასი | D | ნიგერია — ბულგარეთი | 12 |
| | ჩიკაგო | C | გერმანია — ესპანეთი | 13 |
| 22 ივნისი | ლოს ანჯელესი | A | აშშ — კოლუმბია | 14 |
| | დეტროიტი | A | რუმინეთი — შვეიცარია | 15 |
| 23 ივნისი | ბოსტონი | C | კორეა — ბოლივია | 16 |
| | ნიუ იორკი | E | იტალია — ნორვეგია | 17 |
| 24 ივნისი | სან ფრანსისკო | B | ბრაზილია — კამერუნი | 18 |
| | დეტროიტი | B | შვედეთი — რუსეთი | 19 |
| | ორლანდო | E | მექსიკა — ირლანდია | 20 |
| 25 ივნისი | ბოსტონი | D | არგენტინა — ნიგერია | 21 |
| | ნიუ იორკი | F | საუდის არაბეთი — მაროკო | 22 |
| | ორლანდო | F | ბელგია — ჰოლანდია | 23 |
| 26 ივნისი | ჩიკაგო | D | ბულგარეთი — საბერძნეთი | 24 |
| | ლოს ანჯელესი | A | აშშ — რუმინეთი | 25 |
| | სან ფრანსისკო | A | შვეიცარია — კოლუმბია | 26 |
| 27 ივნისი | ჩიკაგო | C | ბოლივია — ესპანეთი | 27 |
| | დალასი | C | გერმანია — კორეა | 28 |
| 28 ივნისი | სან ფრანსისკო | B | რუსეთი — კამერუნი | 29 |
| | დეტროიტი | B | ბრაზილია — შვედეთი | 30 |
| | ნიუ იორკი | E | ირლანდია — ნორვეგია | 31 |
| | ვაშინგტონი | E | იტალია — მექსიკა | 32 |
| 29 ივნისი | ორლანდო | F | მაროკო — ჰოლანდია | 33 |
| | ვაშინგტონი | F | ბელგია — საუდის არაბეთი | 34 |
| 30 ივნისი | ბოსტონი | D | საბერძნეთი — ნიგერია | 35 |
| | დალასი | D | არგენტინა — ბულგარეთი | 36 |

| მესამე ადგილების ვარიანტები: | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| A 1 ............ | C | C | C | D | D | E | C | C | C | D | C | C | E | E | C |
| B 1 ............ | D | A | A | A | A | A | D | D | A | A | D | D | C | D | D |
| C 1 ............ | A | B | B | B | B | B | A | A | F | F | B | B | B | B | F |
| D 1 ............ | B | E | F | E | F | F | E | F | E | E | E | F | F | F | E |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2 ივლისი | ჩიკაგო | 1/8 | C ჯგუფში პირველი — A, B ან F ჯგუფში მესამე | 37 |
| | ვაშინგტონი | 1/8 | C ჯგუფში მეორე — A ჯგუფში მეორე | 38 |
| 3 ივლისი | ლოს ანჯელესი | 1/8 | A ჯგუფში პირველი — C, D ან E ჯგუფში მესამე | 39 |
| | დალასი | 1/8 | F ჯგუფში მეორე — B ჯგუფში მეორე | 40 |
| 4 ივლისი | სან ფრანსისკო | 1/8 | B ჯგუფში პირველი — A, C ან D ჯგუფში მესამე | 41 |
| | ორლანდო | 1/8 | F ჯგუფში პირველი — E ჯგუფში მეორე | 42 |
| 5 ივლისი | ბოსტონი | 1/8 | D ჯგუფში პირველი — B, E ან F ჯგუფში მესამე | 43 |
| | ნიუ იორკი | 1/8 | E ჯგუფში პირველი — D ჯგუფში მეორე | 44 |
| 9 ივლისი | ბოსტონი | 1/4 | ბოსტონსა და ვაშინგტონში მოგებულები | 45 |
| | დალასი | 1/4 | სან ფრანსისკოსა და ორლანდოში მოგებულები | 46 |
| 10 ივლისი | სან ფრანსისკო | 1/4 | ლოს ანჯელესსა და დალასში მოგებულები | 47 |
| | ნიუ იორკი | 1/4 | ჩიკაგოსა და ნიუ იორკში მოგებულები | 48 |
| 13 ივლისი | ლოს ანჯელესი | 1/2 | სან ფრანსისკოსა და დალასში მოგებულები | 49 |
| | ნიუ იორკი | 1/2 | ბოსტონსა და ნიუ იორკში მოგებულები | 50 |
| 16 ივლისი | ლოს ანჯელესი | 3-4 | ნახევარფინალებში წაგებულები | 51 |
| 17 ივლისი | ლოს ანჯელესი | 1-2 | ნახევარფინალებში მოგებულები | 52 |

# წილისყრა კაზინოში

...არტურ პენის ცნობილ ფილმ „ბონი და კლაიდში" მთავარი როლის შემსრულებელი ამერიკელი კინომსახიობი, 55 წლის ფეი დანუეი ლას-ვეგასის ერთ-ერთ კაზინოში ამჯერად მოსაპარად არ იყო მისული. მშვენიერი ფეი წარუძღვა კენჭისყრას, რომელსაც კენჭისყრა ძნელად თუ ეთქმის. თურმე ჯგუფებში გუნდების განაწილება 80 პროცენტით უკვე ცნობილი ყოფილა. ფეხბურთელები ეუსებიო, ტონი მეოლა, როჟე მილა, ბობი ჩარლტონი, მიშელ პლატინი, მარკო ვან ბასტენი, ფრანც ბეკენბაუერი, მოკრივე ევანდერ ჰოლიფილდი, ავტომბრბოლი მა რიო ანდრეტი და კიდევ რამდენიმე მსახიობი, მოტანვარჯიშე და ფოტომოდელიც კი საათნახევარი იმისთვისღა გაირჯნენ, რათა ჯგუფში ამა თუ იმ გუნდის ნომერი გაერკვიათ. უფრო ხშირად კი იოზეფ ბლატერი აცხადებდა: ეს ამას არ უნდა შეხვდეს და ამიტომ იმასთან გავუშვათო. აქამდე მხოლოდ ის ვიცოდით, რომ გერმანია C ჯგუფში უნდა ყოფილიყო, მასპინძელთა ნაკრები კი A-ში, ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეს ალან როზენბერგს კი ყველაფერი ცოდნია და წილისყრის ბოლოს 15 წამში გუნდები ქალაქებში გაანაწილა.



ჟოაო აველანჟი დაა ალან როზენბერგი ფიფას თასით

ბოლოსდაბოლოს, ყველასათვის ცხადი შეიქნა ავალანჟსა და პელეს შორის არსებული კონფლიქტი. ფეხბურთის მეფე არ აღმოჩნდა იმ 400 სტუმრის სიაში, რომელიც ლას-ვეგასის შოუზე იყო დაპატიჟებული. როგორც გაირკვა, პელე და ავალანჟის სიძე სასამართლოში ერთმანეთს ეცილებიან ბრაზილიაში ამ ჩემპიონატის მატჩების ტრანსლირების უფლებას...

აქვე გამოცხადდა, რომ ფინალურ ეტაპზე მოგებისათვის გუნდები სამ ქულას მიიღებენ. ასე რომ, წინა ორი ჩემპიონატისაგან განსხვავებით მერვედფინალში ალბათ ველარ გავა გუნდი, რომელიც ერთ შეხვედრას მაინც ვერ მოიგებს. ფინალურ ეტაპზე სხვა სიახლეებიც გველის: თითქმის გადაწყვეტილია, რომ გუნდებს სამი შეცვლის უფლება ექნებათ — ორი მინდვრის მოთამაშის და ერთიც მეკარისა, თუმცა ეს სიახლე ფიფამ 5 მარტს ციურიხში უნდა დაამტკიცოს. სამაგიეროდ, ამერიკის სტადიონებზე უკვე დადიან... ელექტრომობილები, რომლებითაც ტრავმირებულ ფეხბურთელებს უმალ მოედნიდან გაიყვანენ. იოზეფ ბლატერმა განაცხადა, რომ ელექტრომობილები სიმულანტების წინააღმდეგ კარგი საშუალებაა. კიდევ რამდენიმე ინფორმაციაა: მატჩები დაიწყება ადგილობრივი დროით პირველის, ხუთის და რვის ნახევარზე, ბილეთის საშუალო ფასი კი 65 დოლარი იქნება.

ახლა სათითაოდ გადავხედოთ ჯგუფებს და მათში განაწილებული გუნდების ახალი ამბებიც შევიტყოთ.

**A ჯგუფი.** ბევრი თვლის, რომ მასპინძლები იოლ ჯგუფში მოხვდნენ, მაგრამ მთლად ასე არაა საქმე. ამერიკელთა სამივე მეტოქე სწრაფადპროგრესირებადი გუნდია. აშშ-ს ნაკრებმა ბოლო ათ დღეში სამი მატჩი გამართა: მოუგო ნორვეგიის „კონსვინგერს" 2:1, სალვადორის ნაკრებს — 7:0 და წილისყრის წინა დღეს სტენფორდის უნივერსიტეტის მოედანზე მსოფლიოს ჩემპიონებთან წააგო 0:3.

**B ჯგუფი.** არ გაუმართლა რუსეთის ნაკრებს, რომელიც ცნობილი „14-ის წერილის" შემდეგ ჯერ კიდევ გაურკვეველ მდგომარეობაშია. კოლოსკოვის თქმით, სიტუაცია იანვარში გაირკვევა, როცა ნაკრები და ფედერაციის ხელმძღვანელობა ერთმანეთს შეხვდება. ჯერჯერობით კი რუსეთის პრესა, რომელმაც ამ ჯგუფს „სასიკვდილო" უწოდა, სადირინის მხარესაა და ბუნტის მოთავე შალიმოვს ჟირინოვსკიზე ნაკლებად როდი ლანძღავს. რუსები ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩში კვლავ კამერუნს ხვდებიან. ასე რომ, თუ დასჭირდათ... თუმცა კამერუნს რუსი მწვრთნელი აღარა ჰყავს. რუსი კი არა, ჯერჯერობით საერთოდ უმწვრთნელოდაა დარჩენილი, ვინაიდან ფრანგი ჟან-პიერ სადი, რომელიც 15 ოქტომბერს დაინიშნა, ერთ თვეში მოხსნეს. ამის მიუხედავად, კამერუნი ფინალისტთაგან პირველი შეუდგა მზადებას და დეკემბრის პირველ რიცხვებში იაუნდეში შეიკრიბა. რაც შეეხება 42 წლის როჟე მილას, იგი ამ დღეებში ავარიაში მოხვდა, თუმცა სახიფათო არაფერია და კამერუნის რადიოს თქმით, „იგი მზადაა ნაკრებში სათამაშოდ" (?!)

**C ჯგუფი.** გერმანიასა და ესპანეთს ალბათ არ გაუჭირდებათ მერვედფინალში გასვლა, რადგან ბოლივია მხოლოდ თავის ლა-პასში ითვლება სერიოზულ მეტოქედ. გერმანელები ახლა ამერიკაში იმყოფებიან და ამხანაგურ მატჩებს მართავენ. პირველი მათ არგენტინასთან წააგეს 1:2 და ძალიან ცუდი შთაბეჭდილება დატოვეს. მათი შემადგენლობა ასეთი იყო: კეპკე, ბრემე, კოლერი, ჰელმერი, ბუხვალდი, მათეუსი, მიოლერი (ზამერი 70), ჰესლერი, ეფენბერგი, კლისმანი (ტომი 68), კირსტენი. როგორც ხედავთ, ფოგთსი ძირითადად ვეტერანებს ეყრდნობა. გასაკვირია, რა მოსაზრებით დააყენა მან მათეუსი მცველად. მეორე გოლი მათ კარში ხწორედ ახლადგამომცხვარი ლიბეროს სინდისზეა. 18 დეკემბერს გერმანიამ ამერიკელებს 3:0 მოუგო. გოლები მიოლერმა, კლინსმა და ტომმა გაიტანეს. ამაობაში პრესამ ხმა დაყარა, ნაკრებში შუსტერი ბრუნდებაო. ასე რომ, მსოფლიოს ჩემპიონები შეიძლება ყველაზე ხანდაზმულ გუნდადაც იქცნენ. ბოლო ინფორმაციით, კორეის მწვრთნელად შეიძლება ანატოლი ბიშოვეცი დანიშნონ.

**D ჯგუფი.** არგენტინაც დიდი პრობლემების გარეშე უნდა გავიდეს შემდეგ წრეში. ამის საბაბს იძლევა ის თამაში, რაც გუნდმა გერმანიასთან მატჩში აჩვენა. არგენტინელთა შემადგენლობა ასეთი იყო: გოიკოეჩეა, ვასკესი (ბორელი 86), პაკალისტერი, რუჯერი, ერნან დიასი, მანკუსო, პერესი, კანია, როდრიგესი (მონსერეტი 88), ბელო (ორტეგა 89), ბალბო. არ თამაშობდნენ ბატისტუტა და მარადონა, რომელსაც „ურაკანთან" შეხვედრაში ფეხის კუნთი გაუწყდა. ბულგარეთს შეიძლება სტოიჩკოვი მოაკლდეს: ფრანგული „ონზ მუნდიალისთვის" მიცემულ ინტერვიუში მან თქვა, რომ მსაჯები შვედეთის ნაკრებს ეხმარებოდნენ იუპანსონის გამოო. უეფამ განაცხადა, რომ თუ ეს სიტყვები დადასტურდა, ხრისტოს დისკვალიფიკაციას მისცემენ.

**E ჯგუფი.** ფავორიტი იტალია ჯგუფურ მატჩებს ნიუ-იორკში ატარებს, სადაც ბევრი იტალიელი ცხოვრობს. სამაგიეროდ აღშფოთებულია ირლანდიის მწვრთნელი ჯეკ ჩარლტონი. როგორც ჩვენი ლონდონელი კორესპონდენტი დავით მჭედლიშვილი გვატყობინებს, ჩარლტონი იმედოვნებდა, რომ მისი ნაკრები ბოსტონში ითამაშებდა (იქ ირლანდიელთა „დიდი სამმო" ყოფილა). ფიფა შეპირებია კიდეც, მაგრამ... ამას ისიც დაუმატეთ, რომ ამერიკაში ვერ ითამაშებს ირლანდიელთა ყველაზე სახიფათო თავდამსხმელი ნილ ქუინი, რომელმაც მძიმე ტრავმა მიიღო.

**F ჯგუფი.** პირველივე მატჩში ჰოლანდიელები წინა ჩემპიონატზე მათი მწვრთნელის ლეო ბეენჰაკერის გუნდს ხვდებიან — იგი საუდის არაბეთს ავარჯიშებს. თავად აი, ჰოლანდიელებს კი მწვრთნელის პრობლემა ჯერაც ვერ გადაუწყვეტიათ: წინა კვირას კრუიფსა და ფეხბურთის ფედერაციას შორის გამართული მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა. ჯერჯერობით ნაკრები უმწვრთნელოდაა, ვინაიდან ადვოკაატს კონტრაქტის ვადა გაუვიდა. შესაძლოა, ჩემპიონატის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი ამერიკაში ორი „ლეგენდის", კრუიფისა და ვან ბასტენის გარეშე ჩავიდეს. მარკოს კოჭის კიდევ ერთი ოპერაცია ელის.

ზურაბ მიქაელია

## ესპანეთი

XVI ტური. 18-19 დეკემბერი. სევილია — ატლეტიკი 1:3, სოსიედადი — რეალი 2:0, ალბასეტე — სპორტინგი 3:1, ბარსელონა — სელტა 1:0, სარაგოსა — ვალენსია 1:0, ოსასუნა — ლოგრონიესი 1:3, ვალიადოლიდი — რაიო ვალეკანო 1:3, ლა კორუნია — ლერიდა 2:0, ოვიედო — ტენერიფე 1:0, ატლეტიკო — სანტანდერი 4:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლა კორუნია (3) | 16 | 10 | 4 | 2 | 21-5 | 24 |
| ბარსელონა (1) | 16 | 10 | 3 | 3 | 33-16 | 23 |
| ატლეტიკი (8) | 16 | 9 | 3 | 4 | 29-19 | 21 |
| სპორტინგი (13) | 16 | 9 | 2 | 5 | 21-17 | 20 |
| რეალი (2) | 16 | 8 | 3 | 5 | 24-17 | 19 |
| ალბასეტე (17) | 16 | 5 | 8 | 3 | 24-20 | 18 |
| სოსიედადი (12) | 16 | 7 | 4 | 5 | 23-23 | 18 |
| სევილია (7) | 16 | 6 | 5 | 5 | 23-15 | 17 |
| ვალენსია (4) | 16 | 7 | 3 | 6 | 19-21 | 17 |
| ატლეტიკო (6) | 16 | 5 | 6 | 5 | 27-22 | 16 |
| სარაგოსა (9) | 16 | 6 | 4 | 6 | 25-23 | 16 |
| სანტანდერი (დ) | 16 | 6 | 3 | 7 | 16-16 | 15 |
| ოვიედო (16) | 16 | 5 | 5 | 6 | 13-21 | 15 |
| რაიო ვალ. (14) | 16 | 6 | 2 | 8 | 24-29 | 14 |
| ტენერიფე (5) | 16 | 6 | 2 | 8 | 20-28 | 14 |
| ლოგრონ. (15) | 16 | 4 | 5 | 7 | 23-26 | 13 |
| სელტა (11) | 16 | 3 | 6 | 7 | 13-21 | 12 |
| ოსასუნა (10) | 16 | 4 | 2 | 10 | 15-26 | 10 |
| ვალიადოლ. (დ) | 16 | 3 | 4 | 9 | 11-24 | 10 |
| ლერიდა (დ) | 16 | 3 | 2 | 11 | 9-23 | 8 |

გასულ კვირას ესპანეთის სუპერთასის საპასუხო მატჩი „ბარსელონა" — „რეალი" 1:1 დამთავრდა. პირველი შეხვედრა მოგებული ჰქონდა „რეალს" 3:1 და იგი სუპერთასს დაეუფლა.

## იტალია

XII ტური. 21 ნოემბერი. რეჯანა — კრემონეზე 2:0, მილანი — ნაპოლი 2:1, ჯენოა — ინტერი 1:0, ატალანტა — პარმა 0:2, იუვენტუსი — კალიარი 1:1, ლაციო — ტორინო 1:2, ფოჯა — სამპდორია 1:2, ლეჩე — რომა 0:2, პიაჩენცა — უდინეზე 0:0.

XIII ტური. 28 ნოემბერი. პიაჩენცა — ფოჯა 5:4, პარმა — მილანი 0:0, ინტერი — იუვენტუსი 2:2, ლაციო — ჯენოა 4:0, კალიარი — რომა 1:1, ნაპოლი — რეჯანა 5:0, სამპდორია — კრემონეზე 3:1, უდინეზე — ატალანტა 0:0, ტორინო — ლეჩე 3:0.

XIV ტური. 5 დეკემბერი. მილანი — ტორინო 1:0, ლეჩე — ინტერი 1:3, რომა — პარმა 2:0, იუვენტუსი — ნაპოლი 1:0, კრემონეზე — პიაჩენცა 4:0, ატალანტა — ლაციო 1:1, რეჯანა — კალიარი 3:1, ჯენოა — სამპდორია 1:1, ფოჯა — უდინეზე 2:2.

XV ტური. 12 დეკემბერი. ინტერი — სამპდორია 3:0, კალიარი — პარმა 0:4, ლაციო — იუვენტუსი 3:1, ნაპოლი — ატალანტა 4:0, ტორინო — კრემონეზე 1:1, პიაჩენცა — რომა 1:0, ჯენოა — ფოჯა 1:4, რეჯანა — ლეჩე 1:0. უდინეზე — მილანი 23 დეკემბერს უნდა გამართულიყო.

XVI ტური. 19 დეკემბერი. იუვენტუსი — პიაჩენცა 2:0, ფოჯა — ტორინო 1:[illegible], ატალანტა — ჯენოა 2:1, კრემონეზე — უდინეზე 1:1, ლეჩე — ლაციო 1:[illegible], მილანი — კალიარი 2:1, პარმა — ნაპოლი 1:3, რომა — ინტერი 1:1, სამპდორია — რეჯანა 1:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი (1) | 15 | 9 | 5 | 1 | 19-8 | 23 |
| სამპდორია (7) | 16 | 10 | 2 | 4 | 28-21 | 22 |
| პარმა (3) | 16 | 9 | 3 | 4 | 24-12 | 21 |
| იუვენტუსი (4) | 16 | 8 | 5 | 3 | 28-17 | 21 |
| ინტერი (2) | 16 | 7 | 6 | 3 | 21-13 | 20 |
| ლაციო (5) | 16 | 7 | 6 | 3 | 20-14 | 20 |
| ნაპოლი (11) | 16 | 7 | 4 | 5 | 26-16 | 18 |
| ტორინო (9) | 16 | 7 | 3 | 6 | 21-16 | 17 |
| კრემონეზე (დ) | 16 | 6 | 5 | 5 | 19-16 | 17 |
| რომა (10) | 16 | 5 | 6 | 5 | 15-15 | 16 |
| ფოჯა (12) | 16 | 3 | 9 | 4 | 19-19 | 15 |
| კალიარი (6) | 16 | 5 | 4 | 7 | 21-28 | 14 |
| პიაჩენცა (დ) | 16 | 4 | 6 | 6 | 13-22 | 14 |
| რეჯანა (დ) | 16 | 3 | 6 | 7 | 10-20 | 12 |
| ჯენოა (13) | 16 | 3 | 5 | 8 | 12-22 | 11 |
| ატალანტა (8) | 16 | 3 | 5 | 8 | 16-29 | 11 |
| უდინეზე (14) | 15 | 2 | 6 | 7 | 10-19 | 10 |
| ლეჩე (დ) | 16 | 1 | 2 | 13 | 13-28 | 4 |

## ფეხბურთის



## რუკასთან

ᲘᲢᲐᲚᲘᲔᲚᲘ რობერტო ბაჯო „უორლდ სოკერმა" თავისი მკითხველების გამოკითხვის შედეგად მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშედ დაასახელა. მეორე იყო დენის ბერხკამპი, მესამე — რუუდ გულიტი. საუკეთესო გუნდად აღიარეს თასების თასის მფლობელი, იტალიური „პარმა", რომელმაც კოლუმბიის ნაკრებსა და „მანჩესტერ იუნაიტედს" აჯობა. ამ უკანასკნელის მწვრთნელი ალექს ფერგიუსონი კი თავის კოლეგებში საუკეთესოდ მიიჩნიეს.

ᲞᲝᲠᲢᲣᲒᲐᲚᲘᲘᲡ „სპორტინგის" რუსი თავდამსხმელი სერგეი შჩერბაკოვი თავისი ყოფილი მწვრთნელის ინგლისელი ბობი რობსონის გამოსათხოვარი საღამოდან შინ მიმავალი ავტოავარიაში მოხვდა და ბეწვზე კი გადარჩა, მაგრამ ფეხბურთს ველარ ითამაშებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოროსანი მურთაზი



ქართველები ნელ-ნელა ითვისებენ ბუნდესლიგას. კახი ცხადაძის კვალს მურთაზ შელია მიჰყვა, მალე გიორგი ქინქლაძეც შეუტევს ალემანებს. მურთაზმა დაბრუნებისთანავე გადმომცა გერმანული სპორტული პრესა და მითხრა, გადავრიე გერმანელებიო.

სტატიის სათაური არ გეგონოთ მურთაზის ყრმობას ეხებოდეს. გერმანიაში ფეხბურთელს მატჩისშემდგომი ნიშნები ქვემოდან ზემოთ იწერება, ასე რომ ორიანი წარმატებული თამაშია, ხუთიანი წარუმატებელი. ჰოდა, მურთაზ შელიაც გერმანიაში მთლად ოროსანი გამხდარა.

ინტერვიუს შემდეგ გთავაზობთ გერმანული პრესის გამოხმაურებას შელიასა და ქინქლაძეზე.

— რამდენი მატჩი ითამაშე?

— ოთხი. პირველი „ჰომბურგთან" 2:2 ვითამაშეთ და ჩემი თამაშით ყველა კმაყოფილი დარჩა, მათ შორის მეც. შემდეგ იურდინგენის „ბაიერნს" მოვუგეთ 1:0, აქ საუკეთესო მოთამაშედ მაღიარეს, შემდეგ „მეპენმა" დაგვამარცხა 0:2, მაგრამ არც აქ გამიფუჭებია ამინდი. პირველი წრის ბოლო მატჩში „როსტოკი" გავანადგურეთ — 4:0. მე რომ ჩაველი, მეცხრე ადგილზე ვიყავით, ახლა მესამეზე ვართ და პირველ ბუნდესლიგაში გადასვლის შანსი გაგვიჩნდა.

— „ზაარბრიუკენში" შენს გარდა ამერიკელი ერიკ ვინალდა და რუსი ოლიმპიური ჩემპიონი იური სავიჩევი გამოდის. ისინი როგორღა თამაშობენ?

— ბრწყინვალედ. ვინალდას შვიდი გოლი აქვს გატანილი, სავიჩევიც შესანიშნავად თამაშობს, მე მას ძალიან დავუმეგობრდი. იყო კიდევ ერთი ბრაზილიელი — ფაბიო ზამბიასი, რომელიც ჩემი ჩასვლის შემდეგ ზედმეტი აღმოჩნდა.

— შენ საქართველოშიც ხისტად თამაშობდი. იმედია გერმანულ ფეხბურთსაც უმტკივნეულოდ შეეწყე.

— საათნახევარი რაკეტებივით დარბიან. თავიდან ძალიან გამიჭირდა, ერთი სული მქონდა ორთაბრძოლის შემდეგ ვინმე დაშავებულიყო, რამდენიმე წუთით რომ დამესვენა. ახლა მივეჩვიე და გერმანული მულტფილმი რომ არის ფეხბურთზე, მეც ისე დავრბივარ საათნახევარი.

— გერმანელები მეტსახელად რას გეძახიან?

— ბუზვალდს. ჰო მართლა, დამავიწყდა მეთქვა, რომ ფრანც ბეკენბაუერის შვილი შტეფანიც „ზაარბრიუკენშია", იგი მცველია, მაგრამ დიდი კონკურენციის გამო ძირითადში იშვიათად თამაშობს.

— რეჟიმის მხრივ სიმკაცრეა?

— რას ამბობ, რა სიმკაცრე, ისემც გიქნია, გალეშილი მთვრალი მისულხარ ვარჯიშზე და თამაშზე. მთავარია შენ დაამტკიცო, რომ ძლიერი ხარ და როგორც გინდა ისე იცხოვრე. ის კი არა, თამაშისწინა დარიგებაზე ფრანგული ღვინოები შემოაქვთ პირის გასასველებლად.

— მალე ქინქლაძეც შეგემატებათ.

— გერმანელები ითვლიან, როდის ჩამოვა გიორგი. მწვრთნელისა არ იყოს, მეც დიდი იმედი მაქვს, რომ პირველ ბუნდესლიგაში გადავალთ.

— მეორე წრემდე რა მოგზაურობები გელით შენ და გიორგის?

— ჩვიდმეტ იანვარს კანარის კუნძულებზე გვექნება შეკრება, შემდეგ ფლორენციაში. 19 თებერვალს პირველი თამაში გვაქვს, შტუტგარტის „კიკერსს" ვხვდებით.

— ბინის და მანქანის საქმე როგორ არის?

— მანქანა იაპონური მყავს, ბინით ჯერ სასტუმროში ვცხოვრობ, მაგრამ მალე ოთხოთახიანი მექნება.

...ეჰ, ჩემი გადამწვარი სახლი კოჩარაში მაინც ყველაფერს მირჩევნია.

## შელიას ძლიერი დებიუტი!

ჩამოვა იგი თუ არა, მოაწერენ მასთან კონტრაქტს ხელს, თუ-არა. ასეთი, ან დაახლოებით ასეთი კითხვები ისმოდა ხოლმე ზაარბრიუკენელთა კოლექტივში, როცა საუბარი მურთაზ შელიაზე ჩამოვარდებოდა. კლუბის ორივე მწვრთნელი, ფრიც ფუქსი და რუდიგერ აბრამჩიკი, დარწმუნებულები იყვნენ იმაში, რომ შელიასთან კონტრაქტი დაიდებოდა. მათი იმედები გამართლდა და 24 წლის ფეხბურთელი სეზონის ბოლომდე ზაარბრიუკენში ითამაშებს.

„ჰომბურგთან" მატჩამდე ნახევარი საათით ადრე შელიას მინდორზე გამოსვლის ნება დართეს. მან თვალნათლივ დაგვანახა, რისი თავიც ჰქონდა. მაღალტექნიკური, სხარტი შეტევასა და უკომპრომისო დაცვაში. აი, ასეთი წარდგა იგი ფეხბურთის გულშემატკივართა წინაშე. მას აქვს კარგი შანსი წასვლამდე ზაარბრიუკენელთა გუნდის ნამდვილი ბურჯი გახდეს.

## აბრამჩიკმა დაითრია ქინქლაძე

ადრეული შობა დილა გაუთენდა „ზაარბრიუკენს". მათ არა მხოლოდ დაამარცხეს როსტოკელები და ამით მესამე ადგილზე გადაინაცვლეს, არამედ შემდგომი წინსვლის გზებიც დასახეს.

„ზაარბრიუკენს" სეზონის ბოლომდე რუდიგერ აბრამჩიკი უხელმძღვანელებს. კლუბის ვიცე-პრეზიდენტ შვარცკოფის თქმით: „იგი (შელია) ჩვენი იმედია, მისი მეოხებით I ბუნდესლიგაში გადავედით." ამის გარდა შვარცკოფმა შენელებული მოქმედების ნაღმიც გამოაჩინა: „ზაარბრიუკენმა" თბილისის „დინამოდან" ითხოვა მსოფლიო დონის ფეხბურთელი გიორგი ქინქლაძე, რომლის ყიდვაც „ბარსელონას" სურდა სამ მილიონად.

აქვე უნდა დავძინოთ, რომ მურთაზ შელიამ როსტოკში გამართულ შეხვედრაში გამარჯვების რწმენა შთაბერა თანაგუნდელებს. შელიას მონაცემები: ორთაბრძოლებში კონცენტრირებულია, ტექნიკურად ძლიერია, შესანიშნავად აგებს შეტევებს, უბადლოდ თამაშობს თავით. აბრამჩიკი: „შელია კარგად მოერგო ბუნდესლიგას და მე იმედი მაქვს, რომ იგი აქ კარგ სახელს დატოვებს." შელიას თარჯიმანობას უწევს მისი თანამემამულე იური სავიჩევი.

გერჰარდ როიტერი, „კიკერი"

უკრაინაში შეპეტოვკური „საფეხბურთო ლეგილის" თაობაზე ასე თუ ისე ინფორმირებულია ქართველი მკითხველი. პროვინციულ შეპეტოვკაში სამოცდაათასი კაცი ცხოვრობს და ქალაქი მხოლოდ იმითაა ცნობილი, რომ იგი ნიკოლოზ ოსტროვსკის სამშობლოა. მიუხედავად ამისა, შეპეტოვკა ქართველი კაცის, უფრო სწორედ კაცების გამოისობით საყოველთაო ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. თავად განსაჯეთ, ამ ქალაქის გუნდ „ტემპში" თამაშობენ: ჟორჟოლიანი, ძმები კაპანაძეები, გაბისკირია, ბრუნჯაძე, ჩიხრაძე (ახლახან გაბისონიაც მიიწვიეს). გუნდის პრეზიდენტია ჯუმბერ ნიშნიანიძე, ვიცე-პრეზიდენტი ბუთხუზ მგელაძე, ერთ-ერთი მწვრთნელი — ადიკ დურსუნიში, და ქართველები არათუ ამინდს არ აფუჭებენ, არამედ საუკეთესონი არიან თავიანთ ამპლუაში. ყველაფრის თავი და თავი კი, რა თქმა უნდა, ჯუმბერ ნიშნიანიძეა, კაცი, რომლის სახელიც ოქროს ასოებით ჩაიწერება უკრაინული ფეხბურთის ისტორიაში. იმედია მალე დაგება დრო და ბატონ ჯუმბერს უშუალოდ გავესაუბრებით, რაც შეეხება გიორგი ჩიხრაძეს, მასთან დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებს, და აკი ერთხელ ჩვენი ინტერვიუც შესდგა, მაშინ სოხუმში ჯერ კიდევ არ სკდებოდა ჭურვები. გიორგი თხემიდან ტერფამდე ნამდვილი ქართველია და სოხუმის „დინამოს" ბოლო კრებაზეც სწორედ იგი წამოდგა პირველი და სთქვა: „ჩემი, როგორც ქართველის ვალია, ვითამაშო ეროვნულ ჩემპიონატში!" ამ სიტყვების შემდეგ „დინამო" დაიშალა და შეიქმნა „ცხუმი". შემდეგ კი ომი დაიწყო, და დიდი ხნის ხეტიალის შემდეგ ჩიხრაძე შეპეტოვკაში აღმოჩნდა. ბოლოს იგი გაზაფხულზე ვნახე, სოჭში მიემგზავრებოდა ტყვედჩავარდნილ მშობელთა გამოსახსნელად. ორიოდე დღის წინ კი სასტუმრო „ივერიასთან" მისი ახოვანი ფიგურა რომ დავინახე, თვალებს არ დავუჯერე!



# როგორ ინართობოდა ჩიხრაძე

— გამოიყვანე მშობლები?

— ჯერ კიდევ ტყვეობაში იმყოფებიან გაგრაში, რა არ ვიღონეთ, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა, ვიცი მხოლოდ, რომ ცოცხლები არიან და არაფერს უშავებენ.

— და-ძმა?

— ძმა თბილისშია, და — თეთრიწყაროში, ნათესავებთან.

— შენზე ათასი ჭორი დადიოდა და მხოლოდ რუსული სპორტული პრესიდან ვიგებდი სიმართლეს. სანამ შეპეტოვკის ამბებს იტყვი, მოდი იქამდე რაც გადაგხდა თავს, ის მოგვიყევი.

— „ცხუმში" ბოლოჯერ წყალტუბოში ყოფნისას ვითამაშე. შემდეგ რუსეთში გავემგზავრე მშობლების გადასარჩენად — არაფერი გამომივიდა. ცარიელ-ტარიელმა ანაპას მივაშურე და იქაურ „სპარტაკის" ხელმძღვანელობას ვთხოვე გასინჯვა. ასარჩევად არ მქონდა საქმე და ნებისმიერ პირობებზე თანახმა ვიყავი. რამდენიმე თვის უვარჯიშებელი ფიზიკურად სუსტად ვგრძნობდი თავს, მაგრამ იმდენი მაინც შევძელი, რომ გუნდში ამიყვანეს. ოთხი მატჩიღა იყო დარჩენილი და ოთხივე ვითამაშე. ჩემი ამბავი ხომ იცი — სამი ყვითელი ბარათი მივიღე. ამასობაში ჩემი მეგობრის, მიშა ჯიმკარიანის დახმარებით დამიკავშირდა „ტემპის" ვიცე-პრეზიდენტი მგელაძე და გუნდში მიმიწვია. „ტემპის" მთავარ მწვრთნელს, ლეონიდ ტკაჩენკოს (იგი ადრე ხარკოვის „მეტალისტს" ედგა სათავეში. მ.კ.) პირველივე ვარჯიშის შემდეგ ჩავერიცხივარ გუნდში... ლებიც კაცურად მომექცნენ, იმწამსვე გამიშვეს გუნდიდან. „ტემპი" ბულგარეთში გაემგზავრა — ზალატიე პესკიში. იქ რამდენიმე ამხანაგური თამაში ვითამაშეთ და ცენტრალურ მცველად გამწერეს.

— სოხუმში უფრო ხშირად მარცხენა მცველად გაყენებდნენ...

— ეგ გუნდის ინტერესებისათვის ხდებოდა. ჩემი ამპლუა — ცენტრალური მცველის ადგილია.

— „ტემპი" სამი მცველით თამაშობს?

— სწორედ მასეა. ასე რომ, მე ლიბეროს ფუნქციებსაც ვასრულებდი და კაცზეც მიწევს თამაში. რაც ჩემპიონატი დაიწყო ყველა თამაშში ვითამაშე, ერთის გარდა.

— ალბათ წინა თამაშში გაგაძევეს.

— ნამდვილად მასე იყო. რა ექნა, არ შემიძლია „ბალეტი" ავიტანო მინდორზე. მე მჭიდრო, კაცურ ფეხბურთს ვარ დაჩვეული. ვერ ვიტან ჭიჭყინა და არფერისმაქნის თავდამსხმელებს. იმ წითელი ბარათის გამო დნეპროპეტროვსკის „დნეპრთან" ვერ ვითამაშე.

— გოლი თუ გაქვს შეგდებული?

— ზაპოროჟიეს „ტორპედოსთან" თასზე ჩემმა გოლმა გამარჯვება მოუტანა „ტემპს" — 2:1. ჯერჯერობით ეს ერთი შემთხვევაა.

— თუ „ფუტბოლნი კურიერის" სტატისტიკოსს დავუჯერებთ, შეპეტოვკაში ყოველ თამაშს 10-12 ათასი კაცი ესწრება. გამოდის რომ ყოველი მეხუთე მცხოვრები დადის სტადიონზე?

— ეგ სტატისტიკურ მონაცემებით, სინამდვილეში კი ზოგ თამაშზე 15 ათასი კაციც მოსულა. მთელი შეპეტოვკა ფეხბურთით ცხოვრობს, ჯუმბერ ნიშნიანიძეს ხელის გულზე ატარებენ.

— თვითონ ბატონი ჯუმბერი რას საქმიანობს? ჩვენს დროში გუნდის შენახვა იოლი საქმე არაა.

— ბატონი ჯუმბერი საქმიანი კაცია. ძველად საქართველოში კაცს სიტყვაზე რომ ენდობოდნენ, ჯუმბერ ნიშნიანიძეც იმ ჯურის კატეგორიას ეკუთვნის. რასაც ამბობს — იკეთებს კიდეც. მე პირადად მასთან მშვენიერი ურთიერთობა ჩამომიყალიბდა და მჯერავს, რომ იგი თავის დანაპირებს შეასრულებს. მალე იგი უკრაინის პარლამენტში დეპუტატი იქნება, მთელი შეპეტოვკა მას მისცემს ხმას.

— რამდენწლიანი კონტრაქტი გაქვთ „ტემპთან"?

— ეს ერთი სეზონი და თუ კლუბმა დანაპირები აასრულა, პლუს კიდევ ერთი სეზონი.

— შენ საქართველოშიც თავდაუზოგავად ვარჯიშობდი, მაგრამ „ტემპში" ალბად მეტი დატვირთვებია.

— შედარებაც კი არ შეიძლება. უკრაინის ჩემპიონატში ისეთი ჯახია, საქართველოში წარმოდგენაც რომ არა აქვთ. სულ ფეხზე გაზიან, იქ გამორიცხულია ვინმე გაჩერდეს, მოთამაშეები ცხენებივით დარბიან. ოღონდ ეგაა, ტექნიკის მხრივ უკრაინის ფეხბურთი ახლოს ვერ მოვა ქართულთან.

— საყოფაცხოვრებო პირობები როგორი გაქვთ?

— თითქმის ყველა ბინით დაკმაყოფილებულნი არიან. მეც მალე ველოდები ბინას მრავალსართულიან სახლში, რომელიც სპეციალურად ჩვენი გუნდის წევრებისთვის შენდება.

— ჩვენი ბიჭები მყარად ზიან ძირითადში?

— კაპანაძეებს ოთხ-ოთხი გოლი აქვთ გატანილი, გაბისკირიაც მუდამ თამაშობს, ჟორჟოლიანიც ისევე საიმედოდ იცავს კარს, როგორც სოხუმში.

— „ტემპში" მინსკელი კონდრატიევი და გომონოვი თამაშობდნენ...

— კონდრატიევი უცხოეთში გაემგზავრა სათამაშოდ, გომონოვი კი ჯერჯერობით გუნდშია.

— ქართული დესანტის გადმოსხმა კიდევ ხომ არ არის მოსალოდნელი „ტემპში"?

— დიდი დესანტი მართლაც მოსალოდნელია და არა მხოლოდ ქართული. იანვრის დასაწყისში ყირიმში გვექნება შეკრება, შემდეგ ლიბანში, აქედან საფრანგეთში გადავალთ. ამ ტურნეების შემდეგ საბოლოოდ გაირკვევა, თუ რა შემადგენლობით ითამაშებს „ტემპი" მეორე წრეს.

— აფხაზეთზე რას ფიქრობ?

— მაგის მეტი რა მაქვს სადარდებელი? დღე და ღამე აფხაზეთზე ვფიქრობ, ვფიქრობ ჩემს მშობლებზე, ჩემს მომავალზე. ისე კი, უნდა გითხრა, სასიკეთოს ვერაფერს ვხედავ...



## ოთარი — აქ, ოთარი — იქ

ოთარ კორღალიძე თვენახევრით იმყოფებოდა ავსტრიაში, ზალცბურგის „კაზინოში", რომელიც უეფას თასის მეოთხედფინალშია გასული. ავსტრიის ჩემპიონატში მან ოთხი თამაში ჩაატარა. ოთარი ახლახანს დაბრუნდა საქართველოში და მყის ლანჩხუთს გაემგზავრა, თუმცა „გურიაში" ჯერ არ უთამაშია. კორღალიძესთან დაკავშირება ვერ მოვახერხეთ, ამიტომ გთავაზობთ ამონაკრებს ავსტრიული გაზეთებიდან, რომელიც მისმა მეუღლემ გადმოგვცა. მარინამ გვითხრა, რომ ოთარი იანვარში კვლავ გაემგზავრება ავსტრიაში და მისი ბედიც მაშინ გადაწყდება.

„ავსტრიის ახალი ვარსკვლავი?" მწვრთნელმა ოტო ბარიჩმა გუშინ პირველად აიყვანა ოთარ კორღალიძე ვარჯიშზე (ფოტოზე). ქართველი მოთამაშე „კაზინოში" შემოწმებაზე გაჩერდება.

გაზეთი „ნოიე კრონენ ცაიტუნგი", 26.X.1993

ოთარ კორღალიძემ, ზალცბურგის ქართველმა მოთამაშემ შეაგროვა ინფორმაცია თავისი ახალი კლუბის შესახებ. ეს არის საუკეთესო თავდამსხმელი თბილისის „დინამოდან". პირველი ვარჯიშის შემდეგ მან შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა. მას შეუძლია მშვენიერი ფეხბურთელი გახდეს.

„სპორტი" 26.X.1993

გოჩა ტყებუჩავასთან დაუსწრებელი ინტერვიუ ჩვენი გაზეთის ერთ-ერთ ნომერში შემოგთავაზეთ, ამჯერად დასწრებულ ინტერვიუს გთავაზობთ, რომელიც დილმის ბაზაზე შედგა, სადაც გოჩა უკვე რამდენიმე დღეა დინამოელებთან ერთად თამაშობს.

## ტყებუჩავაც დაგვიბრუნდა

— გოჩა, სულ ჩამოხვედი ფინეთიდან?

— გუნდმა არ შეასრულა ჩემს მიერ წაყენებული პირობები და ამიტომ საქართველოში გამოვემგზავრე.

— ახლა რას აპირებ?

— „დინამოში" ჩავირიცხე და ვემზადები ჩემპიონატის მეორე წრისათვის.

— შენი ოჯახი როგორ შეეგუა აწყობილ ფინეთიდან არეულ საქართველოში ჩამოსვლას?

— ბავშვებს გაუჭირდათ, მაგრამ ყველაზე საშინელ დღეში მე ვარ, ბავშვები ყოველდღე ბანანებსა და კივის მთხოვენ, რა წყალში გადავვარდე, არ ვიცი.

— ფინელი ამომავალი ვარსკვლავი იარი ლიტმანენი წელს „აიაქსში" გამოდის და საკმაო წარმატებითაც. შენ ხომ არ მოგიწია მის წინააღმდეგ თამაში?

— ჩასვლის პირველ წელს შევხვდი მის გუნდს, დიდი ვერაფერი შთაბეჭდილება დატოვა ლიტმანენმა.

— მეორე კვირაა ფინელებს შიშისგან აღარ სძინავთ ჟირინოვსკის გამო...

— მე არჩევნებამდე ჩამოვედი და არ ვიცი ახლა იქ რა სიტუაციაა, მაგრამ ჟირინოვსკისა ადრევე ძალიან ეშინოდათ. ფინელები ყველაფერზე მოაწერენ ხელს, ოღონდ ომი არ დაიწყოს. საათივით აწყობილი ქვეყანა აქვთ, ორმოცდაათი წელია ქურდობა არ მომხდარა. თუ ვინმე ქურდობს — ჩასული რუსები არიან. მთავრობა ყოველნაირად ხელს უწყობს არაფინელთა არდამკვიდრებას ფინეთში. წარმომიდგენია ახლა რა დღეში იქნებიან ჟირინოვსკის არჩევის შემდეგ.

გვერდი მოამზადეს
მამუკა კვარაცხელიამ
და ერეკლე კიკილაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი ჯგუფი.
აღმოსავლეთი

### დინამო 6
### მრეტები 2

თბილისი, ეროვნული სტადიონი
3 დეკემბერი

დინამო: გვარამაძე, შ. ხუჯაძე, ლობჟანიძე, ქველაძე, ცქიტიშვილი, ყაველაშვილი, ნემსაძე (ი. ხუჯაძე 80), ჯამარაული, მაზიაშვილი, იაშვილი, ტრაპაიძე (პეტრიაშვილი 55)
მრეტები: ჯანელიძე, ამბიძე, ქორიძე, ძაბირაძე, მოსულიშვილი (ჯულელი 19), ქვარცხავა, იაგორაშვილი, გელაძე, ჩუხუა, ტყავაძე, ბურდული

1:0 ყაველაშვილი (2)
2:0 იაშვილი (18)
3:0 იაშვილი (28)
4:0 იაშვილი (33)
4:1 გელაძე (43)
5:1 ჯამარაული (62)
5:2 გელაძე (74)
6:2 იაშვილი (80)

მსაჯი: ა. წერეთელი (ჭიათურა)

### საპოვნელა 1
### მაღაროელი 0

თერჯოლა, ცენტრალური სტადიონი
3 დეკემბერი

საპოვნელა: თევზაძე, ხვარეშია, გენაძე, ჭულუხაძე (ბუნტური 72), ძიძიშვილი, უჯლება, ბრეგვაძე, ჯულელი, გოდერძიშვილი, ახვლედიანი, ჩინჩალაძე
მაღაროელი: ხელაძე, შეყლაშვილი, სამხარაძე, რუხაძე, კიპაროიძე, ბურძენიძე, ბრეგვაძე, ბუიშვილი, კათელაძე, წიკლაური, მწყერაშვილი

1:0 გოდერძიშვილი (68 პ)

მსაჯი: ვ. ეჯიბია (თბილისი)

### მარგვეთი 3
### კახეთი 0

კახეთი არ გამოცხადდა

### ერქვანი 1
### დილა 4

გურჯაანი, დავით ყიფიანის სტადიონი
3 დეკემბერი

ერქვანი: ნარეკლიშვილი, თაბუკაშვილი, გაგნიძე, პაპიძე (იაკობიშვილი 70), ფოფხაძე, ინიაშვილი, დოლიძე, ყიზილაშვილი, გვაზავა, მეტრეველი
დილა: [illegible]ვი, ბალაშვილი, ხაჭაპურიძე, [illegible], თარხნიშვილი, ციცქიშვილი, [illegible], მიქელაძე (რევაზიშვილი 82), ტაბატაძე (წკრიალაშვილი 80), ხორგუაშვილი, მინდიაშვილი

1:0 ყიზილაშვილი (19)
1:1 ტაბატაძე (20)
1:2 ხორგუაშვილი (30)
1:3 ტაბატაძე (57)
1:4 ხორგუაშვილი (75)

გაფრთხილება: იაკობიშვილი, მარეხაშვილი
მსაჯი: ტ. ნიშნიანიძე (თბილისი)

### მეტალურგი 1
### მრეტები 2

რუსთავი, სტადიონი „მეტალურგი"
7 დეკემბერი

მეტალურგი: ქორიძე, გაბელაია, ბურნაძე (მელაძე 68), არჩვაძე, კობიაშვილი, ვ. კილასონია, ამბიძე, გ. კილასონია, ღუდუშაური (კ. მეტრეველი 46), თ. მეტრეველი, ალადაშვილი
მრეტები: ჯანელიძე, ამბიძე, ქორიძე, ძაბირაძე, ჯულელი, ქვარცხავა, იაგორაშვილი, გელაძე, ჩუხუა, ტყავაძე, ბურდული

1:0 ალადაშვილი (17)
1:1 ჩუხუა (22)
1:2 ჯულელი (68)

მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

### კახეთი 1
### იბერია 4

თბილისი, სტადიონი „სინათლე"
7 დეკემბერი

კახეთი: გრიშიკაშვილი, ჭაჭუა, კაციტაძე, ტოგონიძე (სეფაშვილი 50), წიქარიშვილი, ნაკუდაიძე (მაღრაძე 46), ა. ხორხელი, ბაბულაიძე, კალუჯა, ლ. ხორხელი, შონია
იბერია: ტოგონიძე (გვენცაძე 50), ჯიკაევი, მჭედლიშვილი, გ. ჩადუნელი, ტყემალაძე, ხარაზიშვილი, მაქაცარია, ბაკურაძე, მარლიშვილი, ქობელაშვილი, მინაშვილი (ლაცაბიძე 55)

0:1 მინაშვილი (10)
0:2 მინაშვილი (15)
0:3 მინაშვილი (50)
0:4 ქობელაშვილი (55 პ)
1:4 კალუჯა (85 პ)

პენალტი ვერ გაიტანა კაციტაძემ
მსაჯი: თ. ჩაგელიშვილი (ქარელი)

### დილა 2
### შევარდენი 1

გორი, ცენტრალური სტადიონი
9 დეკემბერი

დილა: ვოლკოვი, ბალაშვილი, ხაჭაპურიძე (წკრიალაშვილი 85), გაგნიძე, თარხნიშვილი, ციცქიშვილი (რევაზიშვილი 87), მარეხაშვილი, მიქელაძე, ტაბატაძე, ხორგუაშვილი, მინდიაშვილი
შევარდენი 1906: ნაჭყებია, ელიაშვილი, კვიტატიანი, მელქაძე, ჯიშკარიანი, ნადირაძე, ბაკურაძე (ბუკია 75), ჯიქია, ტარტარაშვილი, ტარყაშვილი, ჯანაშია

0:1 ტარყაშვილი (35)
1:1 ციცქიშვილი (45)
2:1 გაგნიძე (55 პ)

გაფრთხილება: ჯანაშია
მსაჯი: გ. ახკაროლლი (ქარელი)

### დინამო 1
### საპოვნელა 2

თბილისი, ეროვნული სტადიონი
11 დეკემბერი

დინამო: გვარამაძე, შ. ხუჯაძე, ლობჟანიძე, ქველაძე, ცქიტიშვილი, ყაველაშვილი, ნემსაძე, ჯამარაული, მაზიაშვილი, იაშვილი, ტრაპაიძე
საპოვნელა: თევზაძე, ხვარეშია, ბებიაშვილი, ჭულუხაძე, ჯულელი (ბუნტური 85), უჯლება, ბრეგვაძე, ქურცაძე, გოდერძიშვილი, ახვლედიანი, ჩინჩალაძე (გურაბანიძე 88)

0:1 ჩინჩალაძე (70)
1:1 იაშვილი (73)
1:2 გოდერძიშვილი (82 პ)

გაფრთხილება: ჭულუხაძე
მსაჯი: ე. სილაგავა (თბილისი)

### მრეტები 1
### შევარდენი 2

თბილისი, სტადიონი „შევარდენი"
12 დეკემბერი

მრეტები: ჯანელიძე, ამბიძე, ქორიძე, ძაბირაძე, ჯულელი, ქვარცხავა, იაგორაშვილი, გელაძე, ჩუხუა, ტყავაძე (მოსულიშვილი 38), ბურდული
შევარდენი 1906: ნაჭყებია, ელიაშვილი, კვიტატიანი, მელქაძე, ჯიშკარიანი (ბუკია 60), ნადირაძე, ბაკურაძე, ჯიქია, ქოჩლაძე, ტარყაშვილი (გოგიჩაიშვილი 80), ტარტარაშვილი

1:0 ჯულელი (9)
1:1 ჯიშკარიანი (53)
1:2 ჯიშკარიანი (56)

გაფრთხილება: ქორიძე, ჩუხუა
მსაჯი: ვ. ტოროსიანი (სოხუმი)

### იბერია 7
### ერქვანი 3

თბილისი, სტადიონი „სინათლე"
12 დეკემბერი

იბერია: გვენცაძე, ჯიკაევი, სამხარაძე, მჭედლიშვილი, ტაბატაძე, ბაკურაძე (გ. ჩადუნელი 60), მაქაცარია, ბ. ჩადუნელი, ქობელაშვილი, ტოგონიძე (მარლიშვილი 35), მინაშვილი
ერქვანი: ნარეკლიშვილი, შალამბერიძე, გრიგალაშვილი, პაპიძე, გვაზავა, ფოფხაძე, ყიფიანი (გაგნიძე 65), დოლიძე, ყიზილაშვილი, თაბუკაშვილი, მეტრეველი

0:1 შალამბერიძე (17)
0:2 ყიზილაშვილი (20)
1:2 ქობელაშვილი (26 პ)
2:2 მაქაცარია (46)
3:2 მაქაცარია (50)
4:2 ბ. ჩადუნელი (52)
5:2 ქობელაშვილი (60)
6:2 ქობელაშვილი (63)
7:2 ქობელაშვილი (72)
7:3 თაბუკაშვილი (75)

პენალტი ვერ გაიტანა მეტრეველმა (70)
გაფრთხილება: ტოგონიძე
მსაჯი: გ. ტაბატაძე (თბილისი)

### დილა 3
### მარგვეთი 1

გორი, ცენტრალური სტადიონი
12 დეკემბერი

დილა: ვოლკოვი, ბალაშვილი, ხაჭაპურიძე, გაგნიძე, თარხნიშვილი, ციცქიშვილი, მარეხაშვილი, მიქელაძე, ტაბატაძე, ხორგუაშვილი, მინდიაშვილი
მარგვეთი: ბაბუაძე, ლანჩავა, გურიელიძე, გიგატაძე, მინაშვილი, წიქარიშვილი, გაბრიჭიძე, ხუნდაძე, ჩიხლაძე, მანაგაძე, შენგელია

1:0 ციცქიშვილი (4)
2:0 ციცქიშვილი (23)
2:1 მანაგაძე (46)
3:1 გაგნიძე (87 პ)

მსაჯი: გ. ხეჩუაშვილი (კასპი)

### კახეთი 1
### მეტალურგი 7

რუსთავი, სტადიონი „მეტალურგი"
12 დეკემბერი

კახეთი: გრიშიკაშვილი, შონია, კაციტაძე, ა. ხორხელი, წიქარიშვილი, ნაკუდაიძე, მაღრაძე, სეფაშვილი, კალუჯა, ბაბულაიძე, დემეტრაძე
მეტალურგი: ქორიძე (ქოჩიაშვილი 46), გაბელაია, ბურნაძე, არჩვაძე, კობიაშვილი, ვ. კილასონია, ამბიძე, გ. კილასონია, ღუდუშაური (გახოკიძე 46), თ. მეტრეველი, ალადაშვილი

0:1 გ. კილასონია (6)
0:2 ვ. კილასონია (13 პ)
0:3 გ. კილასონია (21)
0:4 ვ. კილასონია (40)
0:5 ვ. კილასონია (55)
1:5 სეფაშვილი (75)
1:6 გ. კილასონია (80)
1:7 ამბიძე (85)

მსაჯი: ვ. ეჯიბია (თბილისი)

XXI ტური

### მაღაროელი 1
### დინამო 6

თბილისი, ეროვნული სტადიონი
16 დეკემბერი

მაღაროელი: გველესიანი, იობაშვილი, სამხარაძე, რუხაძე (შეყლაშვილი 46), კიპაროიძე, თამაზაშვილი, ბრეგვაძე, ბუიშვილი, კათელაძე, წიკლაური, დადუნაშვილი
დინამო: გვარამაძე, შ. ხუჯაძე, ჩიქოვანი, ლობჟანიძე, ცქიტიშვილი, ყაველაშვილი, ნემსაძე (ი. ხუჯაძე 80), კიკნაძე, მაზიაშვილი, იაშვილი, ტრაპაიძე

0:1 იაშვილი (28)
0:2 ნემსაძე (33)
0:3 ნემსაძე (52)
0:4 ყაველაშვილი (55)
1:4 თამაზაშვილი (59 პ)
1:5 კიკნაძე (79)
1:6 მაზიაშვილი (82)

მსაჯი: ვ. ტოროსიანი (სოხუმი)

XXII ტური

### მეტალურგი 1
### დილა 2

რუსთავი, სტადიონი „მეტალურგი"
16 დეკემბერი

მეტალურგი: ქოჩიაშვილი, გაბელაია (ღუდუშაური 46), ბურნაძე, არჩვაძე, კობიაშვილი, ვ. კილასონია, ამბიძე, გ. კილასონია, გახოკიძე, თ. მეტრეველი (კ. მეტრეველი 46), ალადაშვილი
დილა: ვოლკოვი, ბალაშვილი, ხაჭაპურიძე, გაგნიძე, თარხნიშვილი, ციცქიშვილი, წკრიალაშვილი, მიქელაძე, ტაბატაძე, ხორგუაშვილი, მინდიაშვილი

0:1 ტაბატაძე (58)
1:1 ღუდუშაური (68)
1:2 ციცქიშვილი (77)

მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

### ერქვანი 1
### მრეტები 0

გურჯაანი, დავით ყიფიანის სტადიონი
16 დეკემბერი

ერქვანი: ნარეკლიშვილი, გრიგალაშვილი, გაგნიძე, პაპიძე, გვაზავა, იაკობიშვილი, ინიაშვილი, დოლიძე, ყიზილაშვილი, თაბუკაშვილი, მეტრეველი
მრეტები: ჯანელიძე, ამბიძე, ბახტაძე, ძაბირაძე, ჯულელი, ქვარცხავა, იაგორაშვილი, ირემაშვილი, მოსულიშვილი, ტყავაძე, ბურდული

1:0 თაბუკაშვილი (58)

მსაჯი: რ. ვერულაშვილი (თბილისი)

### მარგვეთი 4
### იბერია 0

XVIII ტური

### შევარდენი 4
### კახეთი 1

თბილისი, სტადიონი „შევარდენი"
16 დეკემბერი

შევარდენი 1906: ჭანტურია, ელიაშვილი, კვიტატიანი, მელქაძე, ჯიშკარიანი, ნადირაძე, ბაკურაძე, ტარტარაშვილი, ქოჩლაძე (ბუკია 46), ჯიქია (გოგიჩაიშვილი 46), ჯანაშია
კახეთი: გრიშიკაშვილი, ჭაჭუა, კაციტაძე, სეფაშვილი, წიქარიშვილი, ნაკუდაიძე, დემეტრაძე, ბაბულაიძე, კალუჯა, ა. ხორხელი, შონია

1:0 ჯანაშია (7)
2:0 ჯანაშია (15)
2:1 ხორხელი (30)
3:1 ჯიშკარიანი (55)
4:1 გოგიჩაიშვილი (86)

მსაჯი: ტ. ნიშნიანიძე (თბილისი)

XII ტური

### ერქვანი 2
### შევარდენი 7

თბილისი, სტადიონი „შევარდენი"
18 დეკემბერი

ერქვანი: ნარეკლიშვილი, შალამბერიძე, გრიგალაშვილი, პაპიძე, გვაზავა, თაბუკაშვილი, ინიაშვილი, ყიზილაშვილი, დოლიძე, ყიფიანი, მეტრეველი
შევარდენი 1906: ჭანტურია, ელიაშვილი, კვიტატიანი, მელქაძე, ჯიშკარიანი, ნადირაძე (ტარტარაშვილი 46), ბაკურაძე, ტარყაშვილი, ქოჩლაძე, ჯიქია (გოგიჩაიშვილი 35), ჯანაშია

0:1 ჯანაშია (5)
0:2 ბაკურაძე (15)
0:3 ჯანაშია (25)
0:4 ჯანაშია (40)
0:5 ბაკურაძე (55)
1:5 ნარეკლიშვილი (60 პ)
2:5 შალამბერიძე (68)
2:6 ბაკურაძე (78)
2:7 ჯანაშია (80)

მსაჯი: გ. ტაბატაძე (თბილისი)

XIII ტური. 19 დეკემბერი

### მარგვეთი 6
### მაღაროელი 1

XX ტური. 20 დეკემბერი

### შევარდენი 2
### იბერია 0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 20 | 15 | 1 | 4 | 79-29 | 46 |
| შევარდენი | 18 | 12 | 1 | 5 | 41-25 | 37 |
| მარგვეთი | 20 | 11 | 4 | 5 | 49-26 | 37 |
| დილა | 20 | 11 | 2 | 7 | 34-32 | 35 |
| იბერია | 20 | 10 | 5 | 5 | 38-30 | 35 |
| საპოვნელა | 19 | 9 | 3 | 7 | 33-22 | 30 |
| მაღაროელი | 19 | 7 | 4 | 8 | 28-39 | 25 |
| ერქვანი | 20 | 6 | 5 | 9 | 29-46 | 23 |
| მეტალურგი | 20 | 5 | 1 | 14 | 32-46 | 16 |
| კახეთი | 20 | 4 | 3 | 13 | 25-57 | 15 |
| მრეტები | 20 | 3 | 1 | 16 | 17-56 | 10 |

დასავლეთი

### გურია 1
### შუქურა 0

ლანჩხუთი, ცენტრალური სტადიონი
3 დეკემბერი

გურია: აბუსერიძე, პაპავა, თევზაძე, დანელია, ბუცურეიშვილი, მალანია, იმნაძე, რეხვიაშვილი, გოგოლაძე, ფრიდონაშვილი, გამცემლიძე
შუქურა: დოლაბერიძე, ხურციძე, ჭელიძე, კანდელაკი, კაკუბავა, ბერიძე, წიკლაური, გვიანიძე, გვასალია, კედელაძე, ღლონტი

1:0 ფრიდონაშვილი (83)

მსაჯი: თ. მაჭარაძე (ხონი)

### ოდიში 3
### ბათუმი 4

ზუგდიდი, ცენტრალური სტადიონი
3 დეკემბერი

ოდიში: ჭანტურია, ჯოლოხავა, მესხი, თუთბერიძე, აბსანძე, კუტალია, კვარაცხელია, გუგუნია (გაბედავა 60), დარასელია, ქაძანაია, აფაქიძე
ბათუმი: მალაყმაძე, ფუტკარაძე, შანიძე, გეთია, შეყილაძე, თორლაშვილი (ა. მუჯირი 71), მახარაძე, მაჭუტაძე, ხომერიკი, ტულუში, კანტიძე (ყულეჯიშვილი 71)

0:1 ხომერიკი (5)
0:2 ფუტკარაძე (29)
1:2 დარასელია (43)
2:2 კვარაცხელია (60 პ)
2:3 ხომერიკი (69)
2:4 ყულეჯიშვილი (75)
3:4 მესხი (84)

მსაჯი: მ. ჯულაყიძე (სამტრედია)

### სამგურალი 1
### კოლხეთი 2

წყალტუბო, ცენტრალური სტადიონი
3 დეკემბერი

სამგურალი: კიკალეიშვილი, მაღლაკელიძე, ჯანხოთელი, გუჩუა, ლ. ფესტვენიძე, ქობულაძე, ცნობილაძე, რ. იობიძე, ვ. ჯანელიძე, დვალიშვილი, გუბელაძე
კოლხეთი 1913: დევაძე, ტორჩინავა (თიბილაშვილი 78), ღაღანიძე, მაჭავარიანი, ქუნთელია, კიკლიაშვილი (ბულუხია 83), გოროზია, მახარაძე, მიქაბერიძე, დარასელია, ჩხაიძე

1:0 ჯანელიძე (26)
1:1 მიქაბერიძე (47)
1:2 კიკლიაშვილი (72)

მსაჯი: რ. გარნოვსკი (სამტრედია)

### ტორპედო 1
### სამტრედია 1

ქუთაისი, ცენტრალური სტადიონი
3 დეკემბერი

ტორპედო: ნიშნიანიძე, ნოზაძე, ჩხაბერიძე, დიდავა, ხართიშვილი, ვოსკანოვი, ჯინჭარაძე (გიორგობიანი 46), სადილიანი, მაღლაკელიძე, ხუჭუა (ვაჩიბერაძე 78), კვეტენაძე
სამტრედია: მიქაძე, იონანიძე, სიდამონიძე, ბზიკაძე, წულაია, ამაშუკელი, გოგიაშვილი, ჭყონია (ჩომახიძე 89), ჯანაშია, ფანჩულიძე, ტონია

0:1 ჭყონია (86)
1:1 ნოზაძე (90 პ)

მსაჯი: ლ. რაზმაძე

### შუქურა 2
### სამტრედია 1

ქობულეთი, ცენტრალური სტადიონი
6 დეკემბერი

შუქურა: დოლაბერიძე, ხურციძე, ჭელიძე, კანდელაკი, კაკუბავა, ბერიძე (კედელაძე 75), წიკლაური, გვიანიძე, გვასალია, ამბიძე, ღლონტი
სამტრედია: მიქაძე, იონანიძე, სიდამონიძე, ბზიკაძე, ჩომახიძე (კალაძე 80), ამაშუკელი, გოგიაშვილი, ჭყონია, ჯანაშია, ფანჩულიძე, წულაია

1:0 ღლონტი (43)
1:1 წულაია (60)
2:1 ამბიძე (75 პ)

გაფრთხილება: ჭელიძე
მსაჯი: თ. მაჭარაძე (ხონი)

### სამგურალი 1
### ბათუმი 4

წყალტუბო, ცენტრალური სტადიონი
6 დეკემბერი

სამგურალი: კიკალეიშვილი, მაღლაკელიძე, ჯანხოთელი, გუჩუა, ლ. ფესტვენიძე, ქობულაძე, ცნობილაძე (მეგრელაძე 70), ვ. ჯანელიძე, ხურცილავა, დვალიშვილი, ჯანაშია (გუბელაძე 30)
ბათუმი: მალაყმაძე, გოგიტიძე, შანიძე, გეთია, შეყილაძე, ფუტკარაძე, მახარაძე, მაჭუტაძე, ხომერიკი, ტულუში, ყულეჯიშვილი

0:1 ხომერიკი (35)
1:1 დვალიშვილი (48)
1:2 ტულუში (71)
1:3 ყულეჯიშვილი (73)
1:4 ხომერიკი (78)

მსაჯი: გ. ტაბატაძე (თბილისი)

### სამტრედია 1
### კოლხეთი 3

სამტრედია, ეროსი მანჯგალაძის სტადიონი
9 დეკემბერი

სამტრედია: მიქაძე, იონანიძე, სიდამონიძე, ბზიკაძე, წულაია, ამაშუკელი, გოგიაშვილი, ჭყონია, ჯანაშია, ფანჩულიძე, ტონია
კოლხეთი 1913: დევაძე, თიბილაშვილი (ბულუხია 88), კაკაჩია, მაჭავარიანი, ქუნთელია, კიკლიაშვილი, გოროზია, მახარაძე, მიქაბერიძე, დარასელია (ღაღანიძე 87), ჩხაიძე

1:0 იონანიძე (4 პ)
1:1 თიბილაშვილი (28)
1:2 მახარაძე (46)
1:3 მახარაძე (67)

პენალტი ვერ გაიტანა იონანიძემ
გაფრთხილება: მაჭავარიანი, გოროზია
მსაჯი: ა. წერეთელი (ჭიათურა)

### გურია 6
### სამგურალი 2

ლანჩხუთი, ცენტრალური სტადიონი
9 დეკემბერი

გურია: კუნჭულია, იმნაძე, ლორია, დანელია, ბუცურეიშვილი, მალანია, ნარიაშვილი, რეხვიაშვილი, გოგოლაძე, ფრიდონაშვილი (ითამაშეს 10 კაცით)
სამგურალი: კიკალეიშვილი, ჯანხოთელი, ვ. ჯანელიძე (ჯანაშია 46), გუჩუა, ვ. ფესტვენიძე, ლ. ფესტვენიძე, ცნობილაძე, ხურცილავა, მეგრელაძე, დვალიშვილი, ქობულაძე (გუბელაძე 55)

1:0 მალანია (9)
2:0 გოგოლაძე (14)
3:0 ნარიაშვილი (58)
4:0 მალანია (64)
5:0 ფრიდონაშვილი (70)
6:0 რეხვიაშვილი (80)
6:1 მეგრელაძე (81)
6:2 მეგრელაძე (85)

მსაჯი: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

### კოლხეთი 3
### შუქურა 4

ფოთი, ცენტრალური სტადიონი
12 დეკემბერი

კოლხეთი 1913: დევაძე (ტორჩინავა 46), თიბილაშვილი, კაკაჩია, ღაღანიძე, ქუნთელია, ცომაია, კიკლიაშვილი (ბულუხია 46), მახარაძე, მიქაბერიძე, დარასელია, ჩხაიძე
შუქურა: დოლაბერიძე, ხურციძე, ჭელიძე, კანდელაკი, კაკუბავა, ბერიძე, წიკლაური, გვიანიძე, კედელაძე, ამბიძე, ღლონტი

1:0 მახარაძე (20)
1:1 ამბიძე (47)
2:1 დარასელია (60)
2:2 ამბიძე (65)
2:3 ღლონტი (78)
3:3 მახარაძე (78)
3:4 წიკლაური (85)

მსაჯი: მ. ჯულაყიძე (სამტრედია)

### ოდიში 3
### სამგურალი 0

სამგურალი არ გამოცხადდა

### ტორპედო 1
### გურია 0

ქუთაისი, ცენტრალური სტადიონი
12 დეკემბერი

ტორპედო: ნიშნიანიძე, ნოზაძე, ჩხაბერიძე, სადილიანი, ხართიშვილი, ვოსკანოვი (ჯინჭარაძე 30), გიორგობიანი (დიდავა 60), შეყრილაძე, მაღლაკელიძე, ხუჭუა, კვეტენაძე
გურია: აბუსერიძე, პაპავა, ლორია, იმნაძე, ბუცურეიშვილი, მალანია, ნარიაშვილი, რეხვიაშვილი, გოგოლაძე, ფრიდონაშვილი, კვინტრაძე

1:0 ნოზაძე (62 პ)

მსაჯი: თ. მაჭარაძე (ხონი)

XIII ტური, 15 დეკემბერი

### ტორპედო 2
### სამგურალი 1

XV ტური, 15 დეკემბერი

### ბათუმი 3
### შუქურა 0

### ოდიში 1
### სამტრედია 5

ზუგდიდი, ცენტრალური სტადიონი
XXI ტური, 15 დეკემბერი

ოდიში: გელენავა, ჯოლოხავა, მესხი, თუთბერიძე, აბსანძე (კუტალია 46), გაბედავა, კვარაცხელია, გუგუნია, დარასელია, ქაძანაია, აფაქიძე
სამტრედია: მიქაძე (თოდაძე 46), იონანიძე, სიდამონიძე, ბზიკაძე, ვაშაკიძე, წულაია, ამაშუკელი, ჭყონია, ჯანაშია (გენძეხაძე 46), ფანჩულიძე, ტონია

0:1 ჭყონია (1)
0:2 ამაშუკელი (6)
0:3 ჯანაშია (20)
0:4 წულაია (30)
1:4 დარასელია (32)
1:5 იონანიძე (35)

პენალტი ვერ გაიტანა აფაქიძემ
მსაჯი: თ. მაჭარაძე (ხონი)

### კოლხეთი 5
### ბათუმი 2

ფოთი, ცენტრალური სტადიონი
XVIII ტური, 18 დეკემბერი

კოლხეთი 1913: გვასალია, ბულუხია (თიბილაშვილი), კაკაჩია, ღაღანიძე, ქუნთელია, ტორჩინავა, გოროზია, მახარაძე, მიქაბერიძე (ჯულელი), დარასელია, ჩხაიძე
ბათუმი: მალაყმაძე, მაჭუტაძე, შანიძე, გეთია (მუჯირი 35), შეყილაძე, ფუტკარაძე, მ. მახარაძე, ყულეჯიშვილი ხომერიკი, ტულუში, კანტიძე

1:0 მიქაბერიძე (33)
2:0 დარასელია (39)
3:0 მახარაძე (50)
3:1 ყულეჯიშვილი (63)
3:2 მ. მახარაძე (81)
4:2 ჯულელი (85)
5:2 ჩხაიძე (88)

გაფრთხილება: კანტიძე, ტულუში
გაძევება: ტულუში (53)
მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

XX ტური, 18 დეკემბერი

### სამტრედია 3
### გურია 0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოლხეთი 1913 | 12 | 8 | 1 | 3 | 32-18 | 25 |
| გურია | 12 | 8 | 0 | 4 | 28-18 | 24 |
| სამტრედია | 12 | 7 | 1 | 4 | 26-15 | 22 |
| ბათუმი | 13 | 7 | 1 | 5 | 29-21 | 22 |
| ტორპედო | 14 | 6 | 3 | 5 | 23-27 | 21 |
| შუქურა | 11 | 5 | 1 | 5 | 22-22 | 16 |
| ოდიში | 10 | 2 | 1 | 7 | 21-31 | 7 |
| სამგურალი | 12 | 1 | 0 | 11 | 9-38 | 3 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჩემპიონობას სამი გუნდი შეიცილებს

ერთკვირიანი შესვენების შემდეგ განახლდა ვაჟ ხელბურთელთა მეოთხე ეროვნული ჩემპიონატი. წინა ტურის სუსხთან შედარებით თბილისში ამჯერად ნაკლებად ციოდა და თამაშებიც ოდნავ გამთბარ სპორტის სასახლეში ჩატარდა. სამაგიეროდ, ენერგეტიკულმა კრიზისმა იქაც მიაღწია და გვარიანად არია ტურის ნორმალური მსვლელობა.

ჩემპიონატში მონაწილე რვა გუნდი პირობითად ორ ჯგუფად დაიყო, რომელთაც სრულიად განსხვავებული ამოცანები ჰქონდათ. პირველი ხუთეული, რომელმაც თავიდანვე …ლდა ადგილი ფინალურ ჯგუფში, უკვე ფინიშისკენ იყურება და აქედანვე ზრუნავს ქულათა მარაგის შესავსებად. დანარჩენმა სამმა — „მართვემ", გორის „იბერიამ" და „სამტრედიამ" კი ერთმანეთში გადამწყვეტი ბრძოლა გააჩაღა ფინალური ექვსეულის ერთადერთი დარჩენილი საგზურისთვის, რაც იმავდროულად გაისადაც უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნების გარანტიაა. ამ ორომტრიალიდან გამარჯვებული გამოვიდა ტანმაღალი და გამოცდილ მოთამაშეებიანი „სამტრედია", რომელმაც ორივე კონკურენტს დამაჯერებლად მოუგო და სანუკვარ ექვსეულში დამკვიდრდა.



მეტად დამაფიქრებელია „მართვეს" უხეირო შედეგი. 15-16 წლის ბიჭებმა ასაკოვანი მოთამაშეებით დაკომპლექტებული გუნდების დამარცხება რომ ვერ შესძლეს, ეს გასაგებია. რადგან პირველი ხუთეულის წარმომადგენელთა ძლევა მართვეების სადღეისო შესაძლებლობებს ბევრად აღემატება. მაგრამ ის, რომ თავის უშუალო კონკურენტებთან ჭიდილში ერთი მატჩის მოგებაც ვერ მოახერხეს, საგანგაშო სიგნალია. საქმე ისაა, რომ „მართვეს", რომელიც ფაქტობრივად საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებია, ზაფხულში ევროპის პირველობის შესარჩევ ჯგუფში პოლანდიელ და რუმინელ თანატოლებთან მოუწევს თამაში. ივლისამდე არც ისე დიდი დროა დარჩენილი, ასე რომ მწვრთნელებსაც და სპორტსმენებსაც დღე და ღამის გასწორება მოუხდებათ თამაშის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

პირველი წრის შემდეგ პრაქტიკულად უკვე გამოიკვეთა ის სამეული, რომელიც ჩემპიონობისთვის იბრძოლებს. ესენია: საქართველოს სამგზის ჩემპიონი „შევარდენი — სტუ", აგრეთვე წინა პირველობის მეორე-მესამე პრიზიორები „ამირანი" და „მამული".

მეორე ტურში „მამულის" შეტევები შესამჩნევად გააძლიერა გუნდში თურქეთის ჩემპიონატში ნათამაშევი ტიტე კალანდაძის დაბრუნებამ. მშვენიერი საყურებელი გამოდგა „მამული" — „შევარდენის" პრინციპული შეხვედრა, რომლის ბედიც ბევრად იყო დამოკიდებული მეტოქეთა წამყვანი მოთამაშეების, ორი მეთოთხმეტე ნომრის კალანდაძისა და ბექარ ორჯონიკიძის დუელზე. პირველი ტაიმის ბოლოს მიღებული სერიოზული ტრავმის მიუხედავად, ჩემპიონთა ლიდერმა მაინც მოახერხა 6 ბურთის შეგდება, კალანდაძის ანგარიშზე ერთი გოლით მეტია. ასევე დაახლოებით თანაბარ ბრძოლაში, გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა ეს უხვგოლიანი შეხვედრა, რომელიც საბოლოოდ ფრედ დასრულდა — 32:32. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს „უბერებელი" ამბერკი ტაბიძის ბრწყინვალე თამაში. 41 წლის სპორტსმენი დღესაც ძველებური აღმავლობით თამაშობს და ჩინებულ მაგალითს აძლევს გაცილებით ახალგაზრდა კოლეგებს. კარგად შეეწყო გუნდს 21 წლის გიორგი თურქია, რომელიც შედეგიანობით გამოირჩევა და ბომბარდირთა ათეულშიც შედის. სოხუმიდან დევნილ ჭაბუკს სპონსორი გამოუჩნდა თბილისის საბაჟოს „წითელი ხიდის" საგუშაგოს ცვლის უფროსის ლევან ბარამიძის სახით, რომელმაც თავის კოლეგებთან ერთად გარკვეული თანხა შეაგროვა და გიორგის გადასცა.

რაც შეეხება ტაბიძეს, იგი ტურის ცენტრალურ მატჩშიც „ამირანსა" და „შევარდენს" შორის ერთ-ერთი საუკეთესო იყო მოედანზე. ამ შეხვედრას უნდა გადაეწყვიტა, თუ ვინ ჩაუდგებოდა სატურნირო ცხრილს სათავეში სამი თვით. სწორედ ასეთი გრძელვადიანი შესვენება გამოცხადდა ჩემპიონატში, რაც გამოწვეულია იანვარ-თებერვალში ეროვნული ნაკრების მონაწილეობით სლოვენიის გუნდთან ევროპის ჩემპიონატის მატჩებში, შემდეგ კი ირანის ტრადიციულ დიდ საერთაშორისო ტურნირში.

ლიდერთა შეხვედრის შედეგიც, ბუნებრივია, ბევრად იყო დამოკიდებული სნაიპერთა შედეგიანობაზე. ორჯონიკიძისა და ორმეტრიანი გიგანტის კობა თორდიას ბრძოლა ამჯერად ზავით დასრულდა (ორივემ 11-11 — ჯერ აილო მოწინააღმდეგის კარი). მატჩის ბედი კი გადაწყვიტა „ამირანისა" და ნაკრების მეკარის თამაზ ქოქოსაძის ბრწყინვალე რეაქციამ. თამაშის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე „შევარდენი — სტუ" ორი ბურთით იყო წინ — 24:22. დარჩენილ დროში ქოქოსაძემ ზედიზედ სამი პენალტი მოიგერია, მისმა მეგობრებმა კი ამასობაში ოთხი უპასუხო გოლი გაიტანეს ჩემპიონის კარში და შეხვედრაც „ამირანმა" მოიგო — 26:24.

აღსანიშნავია, რომ ლიდერთა ამ დაძაბულმა მატჩმა კორექტულ ბრძოლაში ჩაიარა. სამაგიეროდ, ინციდენტი მოხდა „ორბი-სტუ" — „მამულის" შეხვედრაში. უშუქობის მიზეზით თითქმის ერთსაათიანი დაგვიანებით დაწყებული თამაშის მეორე ტაიმში ატეხილი მუშტი-კრივისთვის მამულელი კახა ღლონტი გაძევებული იქნა მოედნიდან. სპორტულ-ტექნიკურმა კომისიამ იგი ხუთთამაშიანი დისკვალიფიკაციით და მილიონი კუპონით დასაჯა.

სასწრაფოდ მოსაგვარებელია მსაჯობის საკითხი. ახლადშექმნილ ხელბურთის მსაჯთა ასოციაციას, რომელსაც საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი გურამ ძაგანია ჩაუდგა სათავეში, დიდი მუშაობის გაწევა მოუწევს, რადგან, როგორც პირველი წრის შეხვედრებმა ცხადყო, კონფლიქტურ სიტუაციებში მსაჯები ყოველთვის ვერ იდგნენ სათანადო სიმაღლეზე და რამდენიმე ისეთი შეცდომაც მოუვიდათ, რამაც ერთი-ორი მატჩის საბოლოო შედეგზე იქონია გავლენა.

სადღეისოდ, ჩემპიონატის მთავარი მსაჯის, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრის თამაზ ჩხარტიშვილის ხელთ სულ ხუთი-ექვსი მსაჯია. ამდენად, ზოგიერთს დღეში ორჯერ უწევს მოედანზე გამოსვლა. იმედია, მარტამდე მსაჯების რაოდენობა მოიმატებს, ამასთან ისინი საკუთარი თავისადმი მეტ მომთხოვნელობას გამოიჩენენ, თანდათან „ფორმაშიც" შევლენ და უძლიერესთა ექვსეულის ოთხწრიანი ტურნირი მათ მხრიდან უპრობლემოდ ჩაივლის.

გია ახალაძე



## დაწინაურდა ალეკო ბოყოჩაძე

პირველი წრის შემდეგ ბომბარდირთა სიას სათავეში მოექცა „ორბის" ლიდერი ალეკო ბოყოჩაძე. მეორე ტურის წინ იგი 23 გოლით მესამე ადგილზე იყო მამულელი ზაზა გაბრიჩიძისა და დავით მჭედლიშვილის შემდეგ, რომელთაც 28-28 გატანილი ბურთი ჰქონდათ. მეორე ტურის მატჩებში ბოყოჩაძემ „მამულს", „ამირანსა" და „იბერიას" 18, 20 და 15 ბურთი შეუგდო და მნიშვნელოვნად გაასწრო კონკურენტებს. სადღეისოდ მის აქტივშია 6 თამაშში გატანილი 76 გოლი — საშუალოდ ყოველ მატჩში 13.

ალეკო ბოყოჩაძე დაიბადა 1973 წლის 18 იანვარს ქუთაისში. სიმაღლე 189 სმ, წონა 94 კგ. ტექნიკური უნივერსიტეტის III კურსის სტუდენტია.

**მწვრთნელის კომენტარი.** მერაბ მეტრეველი: — ალეკო არის ინდივიდუალურად ძლიერი სპორტსმენი ლიდერის მონაცემებით. მისი კრედოა შეტევა და ეფექტური ტყორცნები. სუსტი მხარეა დაცვა და კოლექტიური, კომბინაციური თამაში. თუ გაიუმჯობესებს ფიზიკურ კონდიციებს და დაცვაში თამაშსაც მოუმატებს, იგი საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე გახდება. შარშან მან მუხლის მძიმე ტრავმის გამო თამაშების ნახევარზე მეტი გამოტოვა. ახლა ყველაფერი რიგზეა და ალეკო ისევ ნაკრების კანდიდატია.

**ბომბარდირები:**

| | |
|---|---|
| ალეკო ბოყოჩაძე („ორბი") | 76 |
| ზაზა გაბრიჩიძე („მამული") | 61 |
| კობა თორდია („ამირანი") | 55 |
| ბექარ ორჯონიკიძე („შევარდ.") | 48 |
| გია მამაცაშვილი („იბერია") | 42 |
| მიხეილ კერესელიძე („ამირანი") | 42 |
| დავით მჭედლიშვილი („მამული") | 41 |
| ელიზბარ არსენაშვილი („მამული") | 39 |
| ტიტე კალანდაძე („მამული") | 37 |
| გიორგი თურქია („შევარდ.") | 35 |
| გოჩა მარგებაძე („ამირანი-2") | 35 |

### საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი
ერთობლივი ტური

16 დეკემბერი

„ორბი-სტუ" — „მართვე" 35:25 (16:11)
„ორბი-სტუ": ბუთიკაშვილი (1), განერელია (9), ჩრდილელი (5), ურუშაძე (3), ჩაჩანაშვილი (3), კალანდაძე (3), ჩხაიძე (2), პაპიაშვილი (4), ნაროზაული (3), სალაყაია (1), ნადირაშვილი (1), კარაიანისი.
„მართვე": ცხადაია, კახა ჭაფოძე (9), ჩაჩანიძე (7), მაჩიტიძე (3), ცუცქირიძე (2), ასანაშვილი (2), გვაზავა (1), ზვიადაური, ტაბატაძე, დავით ჭაფოძე, ლუხუტაშვილი, დანელია, რობაქიძე.

„ამირანი" — „ამირანი-2" 33:27 (17:9)
„ამირანი": ქოქოსაძე, კერესელიძე (7), თორდია (5), ბერაძე (4), ანდრიაშვილი (3), ნავრატილი (2), როგავა (2), ბაბაჯანი (5), თხილავა (4), ხანიაშვილი (1), ხურციძე.
„ამირანი-2": დავით ბერიკაშვილი, ჯუსოშვილი (4), ზვიად შათირიშვილი (2), იუნანოვი (1), ნარჩომაშვილი (1), ყარმაზანაშვილი (1), სიორიძე (1), ეფრემიძე (8), მარგებაძე (8), კაცაძე (1), მახარობლიძე (1), ხორგუაშვილი, სოსო შათირიშვილი, ოთარ ბერიკაშვილი.

„შევარდენი-სტუ" — „იბერია" 45:22 (23:5)
„შევარდენი-სტუ": ქისიევი, თურქია (9), მეიფარიანი (6), იაკობიძე (5), მინდელი (5), ორჯონიკიძე (5), მჟავანაძე (4), ქობელაშვილი (7), ჯანელიძე (2), კეკელიძე (2).
„იბერია": გლუნჩაძე, მშვიდობაძე (9), მამაცაშვილი (5), მოციქულაშვილი (2), მემანიშვილი (1), ვახტანგ მაისურაძე (1), ზურაბ მაისურაძე, თურმანიძე (3), აწკარუნაშვილი (1), ამირხანოვი.

„მამული" — „სამტრედია" 45:28 (24:15)
„მამული": სალუქვაძე, კალანდაძე (9), ბარათაშვილი (6), მჭედლიშვილი (6), არსენაშვილი (5), ღლონტი (3), ჯიაძე (3), გაბრიჩიძე (7), გიგა მაღლაქველიძე (3), გოჩა მაღლაქველიძე (2), ყიფიაშვილი (1), ბარბაქაძე (1), ჯაფარიძე.
„სამტრედია": კიკნაძე, რუხაძე (8), კვირკველია (8), ქოიავა (5), წულეისკირი (4), ფანჩულიძე (2), ხელისუფალი (1), ჯულაყიძე.

17 დეკემბერი

„ამირანი-2" — „იბერია" 40:15 (16:6)
„ამირანი-2": დავით ბერიკაშვილი, კაცაძე (9), ხორგუაშვილი (5), იუნანოვი (4), სიორიძე (4), ჯუსოშვილი (3), ზვიად შათირიშვილი (3), ნარჩომაშვილი (3), ყარმაზანაშვილი (3), მახარობლიძე (3), ეფრემიძე (1), მარგებაძე (1), სოსო შათირიშვილი (1), ოთარ ბერიკაშვილი.
„იბერია": გლუნჩაძე, მამაცაშვილი (6), მოციქულაშვილი (4), მშვიდობაძე (2), ვახტანგ მაისურაძე (1), ზურაბ მაისურაძე (1), ამირხანოვი(1), მემანიშვილი, აწკარუნაშვილი.

„ამირანი" — „სამტრედია" 35:17 (19:10)
„ამირანი": ქოქოსაძე, თორდია (9), კერესელიძე (6), როგავა (3), ნავრატილი (2), თხილავა (2), ანდრიაშვილი (2), ხანიაშვილი (5), ხურციძე(3), ბაბაჯანი (3), ბერაძე, კენჭაძე, გელაშვილი.
„სამტრედია": კიკნაძე, წულეისკირი (3), კვირკველია (2), რუხაძე (1), ქოიავა, ხელისუფალი, ლომიძე, ჯულაყიძე (6), ფანჩულიძე (5).

„შევარდენი-სტუ" — „მართვე" 38:16 (17:12)
„შევარდენი-სტუ": ქისიევი, მინდელი (8), თურქია (8), მეიფარიანი (2), ქობელაშვილი (2), კეკელიძე (1), იაკობიძე, ორჯონიკიძე (9), მჟავანაძე (8), ჯანელიძე, ბარამიძე.
„მართვე": ცხადაია, მაჩიტიძე (4), ზვიადაური (1), მჟავია, ტაბატაძე, დავით ჭაფოძე, ჩაჩანიძე, კახა ჭაფოძე (6), ასანაშვილი (4), გვაზავა (1), ლუხუტაშვილი, ცუცქირიძე, ჯღარკავა, რობაქიძე.

„ორბი-სტუ" — „მამული" 28:42 (13:18)
„ორბი-სტუ": ბუთიკაშვილი, ბოყოჩაძე (18), განერელია (2), ჩაჩანაშვილი (2), ჩრდილელი (1), ურუშაძე (1), ჩხაიძე, პაპიაშვილი (4), ნაროზაული, სალაყაია, ნადირაშვილი, კარაიანისი, ალასანია.
„მამული": სალუქვაძე, კალანდაძე (13), გაბრიჩიძე (13), არსენაშვილი (6), ღლონტი (6), ჯიაძე (3), მჭედლიშვილი (1), გოჩა მაღლაქველიძე, ყიფიაშვილი,ბარათაშვილი, ჯაფარიძე.

18 დეკემბერი

„ამირანი-2" — „მართვე" 29:8 (21:2)
„ამირანი-2": დავით ბერიკაშვილი, კაცაძე (6), ჯუსოშვილი (5), მარგებაძე (4), იუნანოვი (3), ზვიად შათირიშვილი (3), ყარმაზანაშვილი (3), სოსო შათირიშვილი (3), სიორიძე (2), მახარობლიძე, ნარჩომაშვილი, ხორგუაშვილი, ოთარ ბერიკაშვილი.
„მართვე": ცხადაია, ტაბატაძე (1), ლუხუტაშვილი (1), ჯღარკავა (1), დავით ჭაფოძე, მაჩიტიძე, გვაზავა, ჩაჩანიძე (3), ზვიადაური (2), კახა ჭაფოძე, ასანაშვილი, ცუცქირიძე, მჟავია, რობაქიძე.

„სამტრედია" — „იბერია" 23:13 (13:4)
„სამტრედია": კიკნაძე, კვირკველია (6), წულეისკირი (5), ქოიავა (5), ფანჩულიძე (3), ლომიძე (2), რუხაძე (1), ხელისუფალი (1), ჯულაყიძე.
„იბერია": გლუნჩაძე, მოციქულაშვილი (3), მშვიდობაძე (3), თურმანიძე (3), მამაცაშვილი (2), მემანიშვილი (1), ვახტანგ მაისურაძე, აწკარუნაშვილი (1), ზურაბ მაისურაძე, ამირხანოვი.

„ამირანი"-„ორბი — სტუ" 30:26 (16:12)
„ამირანი": ქოქოსაძე, თორდია (12), კერესელიძე (8), როგავა (3), ანდრიაშვილი (3), ნავრატილი (2), ბერაძე (1), თხილავა (1).
„ორბი-სტუ": ბუთიკაშვილი, ბოყოჩაძე (20), ჩრდილელი (2), ჩაჩანაშვილი (2), განერელია (1), ურუშაძე, სალაყაია, ჩხაიძე (1), პაპიაშვილი, ნაროზაული.

„შევარდენი-სტუ" — „მამული" 32:32 (17:15)
„შევარდენი-სტუ": ქისიევი, ორჯონიკიძე (6), ტაბიძე (6), მჟავანაძე (6), თურქია (4), კეკელიძე (3), მეიფარიანი (3), შენგელია (4), იაკობიძე.
„მამული": ჯაფარიძე, კალანდაძე (7), გაბრიჩიძე (7), არსენაშვილი (7), მჭედლიშვილი (5), ჯიაძე (4), გოჩა მაღლაქველიძე (1), გიგა მაღლაქველიძე (1), სალუქვაძე.

19 დეკემბერი

„ორბი-სტუ" — „იბერია" 36:19 (15:7)
„ორბი-სტუ": ბუთიკაშვილი, ბოყოჩაძე (15), ურუშაძე (6), ჩრდილელი (4), სალაყაია (2), ჩხაიძე (2), ჩაჩანაშვილი (1), კარაიანისი (3), პაპიაშვილი (1), კალანდაძე (1), ნადირაშვილი.
„იბერია": გლუნჩაძე, მამაცაშვილი (10), მოციქულაშვილი (7), მემანიშვილი (1), ჩიტაშვილი (1), ვახტანგ მაისურაძე, თურმანიძე, აწკარუნაშვილი.

„სამტრედია" — „მართვე" 18:15 (8:7)
„სამტრედია": კიკნაძე, კვირკველია (7), ქოიავა (3), რუხაძე (3), ფანჩულიძე (2), წულეისკირი (1), კიკაჩეიშვილი, ხელისუფალი (2), ლომიძე.
„მართვე": ცხადაია, ჩაჩანიძე (5), ასანაშვილი (4), ტაბატაძე(2), ლუხუტაშვილი (1), გვაზავა (1), მაჩიტიძე, ზვიადაური (1), ცუცქირიძე (1), ჯღარკავა.

„ამირანი-2" — „მამული" 31:37 (15:17)
„ამირანი-2": დავით ბერიკაშვილი, ზვიად შათირიშვილი (7), იუნანოვი (6), კაცაძე (4), ყარმაზანაშვილი (3), ჯუსოშვილი (2), სიორიძე, მარგებაძე (6), ეფრემიძე (2), მახარობლიძე (1), ნარჩომაშვილი, ხორგუაშვილი.
„მამული": სალუქვაძე, არსენაშვილი (9), კალანდაძე (8), გაბრიჩიძე (7), ჯიაძე (7), გოჩა მაღლაქველიძე (5), მჭედლიშვილი (1), ბარათაშვილი, გიგა მაღლაქველიძე.

„ამირანი"—„შევარდენი-სტუ" 26:24 (14:14)
„ამირანი": ქოქოსაძე, თორდია (11), როგავა (4), ბერაძე (4), ანდრიაშვილი (3), ნავრატილი (1), კერესელიძე (3), კენჭაძე.
„შევარდენი-სტუ": ქისიევი, ტაბიძე (6), მეიფარიანი (3), მჟავანაძე (2), მინდელი (1), თურქია (1), იაკობიძე, ორჯონიკიძე (11), კეკელიძე.

მდგომარეობა პირველი ეტაპის შემდეგ:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ამირანი | 7 | 0 | 0 | 236-147 | 14 |
| მამული | 5 | 1 | 1 | 274-195 | 11 |
| შევარდენი-სტუ | 5 | 1 | 1 | 221-156 | 11 |
| ორბი-სტუ | 4 | 0 | 3 | 217-191 | 8 |
| ამირანი-2 | 3 | 0 | 4 | 200-172 | 6 |
| სამტრედია | 2 | 0 | 5 | 117-172 | 4 |
| მართვე | 0 | 1 | 6 | 120-226 | 1 |
| იბერია (გორი) | 0 | 1 | 6 | 126-252 | 1 |

## შეღეგთა დაფა

### ჩოგბურთი

ვაჟთა „დიდი სლემის თასი" — წლეულს დიდი სლემის ტურნირებში 16 წარჩინებულის შეჯიბრება. მიუხენი. 7-12.XII. საპრიზო ფონდი 6 მილიონი დოლარი (ოდენ მონაწილეობისათვის — 100 ათასი)

ნახევარფინალები: პეტერ კორდა (ჩეხეთი) — პიტ სამპრასი (აშშ) 3:6, 7:6, 3:6, 7:6, 13:11; მიხაელ შტიხი (გერმანია) — სტეფან ედბერგი (შვედეთი) 2:6, 3:6, 6:3, 6:3, 6:1

ფინალი: კორდა — შტიხი 2:6, 6:4, 7:6, 2:6, 11:9 (3 საათსა და 48 წუთში). 25 წლის პრაღელმა ცაციამ 1 600 000 დოლარი მიიღო. მან მერვედფინალში მოუგო ალექსანდრ ვოლკოვს (რუსეთი) 6:2, 6:3, მეოთხედფინალში — სერგი ბრუგერას (ესპანეთი) 4:6, 6:0, 6:4.

საერთაშორისო ფედერაციამ (ITF) 1993 წლის მსოფლიო ჩემპიონებად სცნო: ქალებში — შტეფი გრაფი (გერმანია, 24 წლისა): გაიმარჯვა საფრანგეთისა და აშშ-ის ღია პირველობებში, უიმბლდონში და კიდევ 7 შეჯიბრში ვაჟებში — პიტ სამპრასი (აშშ, 22): გაიმარჯვა უიმბლდონში, აშშ-ის ღია პირველობაში და კიდევ 7 შეჯიბრში; 101 მატჩიდან მოიგო 85

### გოლფი

„ჯონ ვოკერის მსოფლიო ჩემპიონატი". მონტეგუა-ბეი, იამაიკა. 16-19.XII. 28 მონაწილე. აკლდნენ მხოლოდ გრეგ ნორმანი (ავსტრალია), პოლ ეიზინგერი (აშშ) და ნიკ პრაისი (ზიმბაბვე)

1. ლარი მაიერსი (აშშ) 18-ით უკეთესი (266); 2. ფრედ კაპლზი (აშშ) 8 (276) (ბოლო, მეოთხე წრეში 7 (64) — გზის რეკორდი); 3. ბერნჰარდ ლანგერი (გერმანია) 7 (277); 4. კოლინ მონტგომერი (შოტლანდია) 6 (278); 5. კურტნი სტრეინჯი (აშშ) 5 (279); ... ნიკ ფალდო (ინგლისი, მსოფლიოს პირველი მეგოლფე) 3 (281). გამარჯვებულმა 550 ათასი დოლარი დაიმსახურა, ხოლო ოდენ მონაწილეობის საზღაური 50 ათასი იყო

## ასე უნდა იწერებოდეს სპორტის სახეობის ისტორია!




ჩემს ხელთაა საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ჭიდაობის, კრივისა და ძალოსნობის კათედრის გამგის, დოცენტ გურამ რატიშვილის წიგნი „ძიუდოს განვითარების ისტორია" (თბილისი, გამომცემლობა „ლეგია", 1993), რომელმაც დიდი სიამოვნება მომგვარა ორი მიზეზის გამო: ჯერ ერთი, ამ წიგნით ამოივსო კიდევ ერთი ხარვეზი ქართული სპორტის ისტორიაში, სტუდენტებმა და სპეციალისტთა ფართო წრემ მიიღო შესანიშნავი დამხმარე სახელმძღვანელო, და მეორეც — წიგნი დაწერილია იმდენად მაღალ დონეზე, რომ დამებადა დიდი სურვილი მისი რეცენზირებისა, ვინძლო სპორტის სხვა სახეობათა მესვეურებმაც შექმნან ანალოგიური დამხმარე სახელმძღვანელოები.

წიგნი წარმოადგენს არა მარტო ფაქტების მშრალ კონსტატაციასა და ანალიზს, არამედ ჩვენთვის სპორტის ამ ახალი სახეობის განვითარებას იხილავს აღმოსავლური ქვეყნების სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებასთან, აღმოსავლურ ფილოსოფიურ მოძღვრებებთან მჭიდრო კავშირში. სწორედ ასეთ კონტექსტშია განხილული „ძიუდოს საწყისები", „ძიუდოს წარმოქმნა და მისი პირველადი განვითარება", „ძიუდო კოდოკანის ესთეტიკური და ეთიკური საფუძვლები", „ძიუდოს განვითარება რუსეთში", „სპორტული ძიუდოს ისტორია", „ძიუდოს განვითარება საქართველოში", „შეჯიბრების წესების ევოლუცია ძიუდოში"; წიგნს ერთვის ვრცელი დანართი, რომელიც გვაუწყებს სსრკ ჩემპიონატების პრიზიორებს 1977-1992 წლებში, მსოფლიოს, ოლიმპიური თამაშებისა და ევროპის ჩემპიონატების ქართველ მონაწილეთა მონაგარს. გული დამწყვიტა მხოლოდ კორექტურული შეცდომების სიმრავლემ, რაც ზოგჯერ აძნელებს ამა თუ იმ წინადადებაში გამოთქმული ავტორისეული აზრის სწორად გაგებას. საერთოდ კი, მისასალმებელია ამ კარგი წიგნის გამოსვლა და მოველით მსგავს დამხმარე სახელმძღვანელოებს სპორტის სხვა სახეობებშიც.

ავთანდილ ციბაძე,
პროფესორი


მატეხი

MATEKHI

საქართველო-ავსტრიის ერთობლივი საწარმო

— თარგმნა გერმანულ და ინგლისურ ენებზე
— თარგმანისა და ნებისმიერი სხვა ტექსტის ბეჭდვა გერმანულად, ინგლისურად და რუსულად
— თარგმნა, ბეჭდვა, ფაქსისა და ტელექსის გაგზავნა გერმანულ და ინგლისურ ენებზე მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში
— ტელექსისა და ფაქსის მიღება ნებისმიერი ქვეყნიდან
— ქსეროასლების დამზადება

დავით აღმაშენებლის გამზირი 67
ტელეფონი: 95 21 70

PUMA®
PUMA AG Rudolf Dassler Sport

გთავაზობთ
ბოლო მოდელის
სპორტულ ტანსაცმელს
ხელსაყრელ ფასად

დარეკეთ 29 47 24
ფაქსი: (8832) 29 47 25


### სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

სპორტულ ტანვარჯიშში მსოფლიოს ჩემპიონატზე (ბრისბენი, ავსტრალია, 1994 წლის აპრილი) აკრედიტაციის მსურველებმა მიმართეთ საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციას.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს პედიატრიული ფაკულტეტის ქირურგიის კათედრის ლაზერული ქირურგიის კურსის ასისტენტის ერთ საშტატო ერთეულზე, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ლაზეროთერაპიის განხრით. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა რექტორის სახელზე უნდა შემოიტანონ განცხადება და არსებული დებულებით გათვალისწინებული საბუთები. კონკურსის ვადაა ერთი თვე განცხადების გამოქვეყნებიდან.

მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 33.

## ჩოგბურთი

# ტურნირები ყოველ შაბათ-კვირას

ალექსანდრე მეტრეველის უდიდესი დამსახურება და ჩოგბურთის სამყაროში მისი პოპულარობა ყველას მშვენივრად მოეხსენება. აკი ამიტომაც აირჩიეს 1983 წელს საერთაშორისო ფედერაციის ერთ-ერთი კომისიის წევრად სამწლიანი ვადით. პარადოქსი კია: ცხრამთასიქითა ლონდონში გამოინახა მისთვის სამუშაო, შინ კი ბოლო 5-6 წელი პრაქტიკულად დაუსაქმებელი იყო. არადა, ჩვენში სპორტის ამ სახეობის სათავკაცოდ უკეთესი კანდიდატურა ხომ არც მოიძებნება.

ორიოდე კვირის წინ მოსახდენი მოხდა და საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა ალექსანდრე მეტრეველი ფედერაციის პრეზიდენტად აირჩია.

წინა ხელმძღვანელები, და ეს მხოლოდ ჩოგბურთს როდი ეხება, როგორც წესი, ფედერაციებს თავის ძირითად საქმიანობასთან შეთავსებით, ე.წ. საზოგადოებრივ საწყისებზე უძღვებოდნენ. მათ ფრიადი თანამდებობები ეკავათ, რაც ბუნებრივია, დიდ დროსა და ენერგიას ართმევდა. ამიტომ, შეთავსებულ საქმეს სათანადო ყურადღებას ვერ უთმობდნენ და ერთი—ორი გამონაკლისის გარდა, შედეგებიც შესაბამისი იყო.

მეტრეველი მხოლოდ ფედერაციაში საქმიანობით იქნება დაკავებული და იმედია, საკადრისად გაართმევს თავს მოვალეობას. ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა, რომელიც ერთი თვის წინ 49 წლისა შესრულდა, ხაზგასმით აღნიშნა, რომ უპირველესი, რაც უნდა გაკეთდეს, ესაა ყოველკვირეული ტურნირების ორგანიზება. დღევანდელ უმძიმეს პირობებში, როცა მაღალი დონის შეჯიბრების ჩატარებაზე ფიქრიც კი ზედმეტია, შეძლებისდაგვარად უნდა გამოცოცხლდეს საწვრთნელი პროცესის მონოტონური მსვლელობა ყოველ შაბათ-კვირას მოკლევადიანი ტურნირებით. ასეთი შეჯიბრებები ყველასათვის მოეწყობა — ახალბედა ჩოგბურთელებიდან დაწყებული, ვეტერანებისა და მოყვარულთა ჩათვლით. ჯერ ამით უნდა დავიწყოთ, გაზაფხულიდან კი უკვე შორსაც გავიხედავთ. სეზონის განმავლობაში აუცილებელია ჩატარდეს რამდენიმე ტურნირი უძლიერესთა მონაწილეობით. ცხადია, მხოლოდ თბილისში არა.

ამას წინათ მოსკოვში ყოფნისას მეტრეველი ესაუბრა ბალტიის, რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის წარმომადგენლებს. მეტ-ნაკლებად იმათაც უჭირთ. ყველა იმ აზრისაა, რომ ჩოგბურთის აღმავლობისათვის აუცილებელია აღდგეს ფედერაციათა შორის ადრინდელი კავშირ-ურთიერთობა და ხშირად გაიმართოს შეჯიბრებები, რაც ყველასთვის სასარგებლო იქნება. „კრემლის თასის" ორგანიზატორები აპირებენ ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყნებში ყოველწლიურად ოთხი-ხუთი ტურნირიანი სერიის მოწყობას, ნორმალური საპრიზო ფონდით. კარგი იქნება, თუ როგორმე მოვახერხებთ ერთი შეჯიბრების ჩვენთან ჩატარებას.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ფედერაციის თასის გათამაშებაში გაისდ საქართველოს ნაკრების მონაწილეობას. დიდ საპრიზო ფონდიან ამ შეჯიბრებაში, რომელიც ფაქტობრივად მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატია ქალთა შორის, წარმატების მიღწევა ფრიად პერსპექტიულ საქმედ ითვლება. ჩვენს გუნდს, რომლის შემადგენლობაშიც იქნებიან ლეილა მესხი და 17 წლის ნინო ლუარსაბიშვილი, მაღალი ადგილის დაკავების შანსი აქვს.

დასასრულს მეტრეველმა აღნიშნა, რომ გადასახედია პრეზიდიუმის შემადგენლობა. მასში უნდა შედიოდეს ენერგიული, მონდომებული ხალხი, ვინც მართლა შესძლებს საქმის გაკეთებას. პრეზიდიუმი უნდა იყოს საქმიანი, მუშა და არა უსაშველოდ გაბერილი, რომელიც მხოლოდ ქაღალდზე იარსებებს.

გია ახალაძე

## რაგბი

### ამერის პირველობა

კვირა, 12 დეკემბერი. რუსთავი, ინტერნატების სტადიონი

**აზოტი 21 (3) — ვესტა 3 (3)**

აზოტი (რუსთავი): ი. ლეჟავა*; ლ. ბერიშვილი (ბ. იურინი*, 57), ჯიმშელაძე, ზ. ბერიშვილი, მინდორაშვილი; ჩიქვინიძე*, ხუციშვილი; ჩიტაძე, მთიულიშვილი, ცაბაძე; ზ. მოდებაძე*, მაჩიტიძე, რაფავა*, კაკაბაძე* (გოგიშვილი, 41); ქერტყოევი*. — 2ლ: რაფავა (77, 82); გ: ლეჟავა (77); 3ს: ლეჟავა (19, 64, 72)

ვესტა (თბილისი): ქავთარაშვილი; ბუგიანიშვილი, ნეველიძე, ჩხენკელი, ნ. ხვედელიძე; ჩაველეიშვილი, იოვაძე; გაგნიძე, ჩიქოვანი, დაუშვილი (ბენდიაშვილი, 41); ობოლაძე, კახიანი, ალ. ლიბრაძე, კობახიძე; გ. გიუნაშვილი. — ს: ჩაველეიშვილი (33)

მსაჯები: გ. აბაშიძე (რაგბის კავშირი); მლებრიშვილი (აზოტი), ი. მოდებაძე

(კვი), 12.XII. ვაკე. ამირანი 16 — შევარდენი 23

ამირანი — 2ლ: სპ. ლიპარტელიანი, პატარაია; 2ს: ჩიხლაძე. შევარდენი — 3ლ: ჩიტაძე, ძნელაძე, შ. მოდებაძე; გ და 2ს: მოდებაძე

მსაჯი თ. ცინცაძე (რაში)

| აზოტი — | | | | | | შევარდენი — | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17 | IV | ამირანი | შ | 10:6 | 1 | 22 | IV | თბილისი | შ | 29:17 | 5 |
| 27 | IV | შევარდენი | შ | 7:15 | 1 | 27 | IV | აზოტი | სტ | 15:7 | 2 |
| 3 | VI | თბილისი | სტ | 37:19 | 6 | 13 | VI | ამირანი | შ | 18:17 | 2 |
| 13 | VI | ყოჩები | შ | (+:–) | ... | 19 | VI | ქორები | შ | 42:6 | 6 |
| 18 | VI | ვესტა | სტ | 6:30 | 0 | 28 | VI | თბილისი | სტ | 31:18 | 5 |
| 23 | VI | ამირანი | სტ | 11:8 | 1 | 4 | IX | აზოტი | შ | 13:30 | 1 |
| 28 | VI | ქორები | შ | 36:7 | 6 | 8 | IX | ყოჩები | სტ | 33:25 | 5 |
| 4 | IX | შევარდენი | სტ | 30:13 | 4 | 13 | IX | ვესტა | შ | 12:9 | 0 |
| 8 | IX | თბილისი | შ | 35:21 | 4 | 22 | X | ქორები | სტ | 22:17 | 3 |
| 2 | XI | ყოჩები | სტ | 45:6 | 7 | 23 | XI | ყოჩები | შ | 29:5 | 4 |
| 5 | XI | ქორები | სტ | 58:6 | 10 | 8 | XII | ვესტა | სტ | 3:18 | 0 |
| 12 | XII | ვესტა | შ | 21:3 | 2 | 12 | XII | ამირანი | სტ | 23:16 | 3 |
| სულ: თ 11(12) მ 9(10) წ 2 ბ 296:134 ლ 42 | | | | | | სულ: თ 12 მ 10 წ 2 ბ 270:185 ლ 36 | | | | | |

# სპონსოროსანთა ბენეფისი

ამერი ოდენ თბილისი აღარაა! რუსთაველებმა ისტორიული მარცხი აგემეს დედაქალაქელებს. აწ უკვე ჩემპიონყოფილ „ვესტას" „ეროვნულ ჩემპიონატებში" ამხელა სხვაობით არავისთან წაუგია.

რუსთაველი რაგბის მესვეურს საშა ლობჟანიძეს მშვენიერი გუნდი შეუდგენია. „აზოტის" მთავარ მწვრთნელს მხარში თანაშემწენი — დათო კაკაბაძე და თემურ ქერტყოევი და კონსულტანტი გურამ მოდებაძე უდგანან. რაც მთავარია, გუნდსა ჰყავს უმძლავრესი სპონსორი, რომელიც რაგბისთვის არაფერს იშურებს — „აზოტი" ერთიანად ჩაUMBROებულია და თამაშებისა და შეჯიბრებების მოსაგებად ყველანაირი სტიმული ამოძრავებს.

ასე ვერ იყო „ვესტაში", რომლის ექსვარსკვლავთა ნაწილი თავის სარჩენად დიდი რაგბიდან დიდ ბიზნესში გადასულა. დარჩნენ მხოლოდ ისინი, ვინც უზრუნველყოფილი ოჯახებიდან არიან, ანაც დიდი რაგბი სიყმაწვილის გამო ჯერ ვერ დაუტაშნიკებიათ.

თბილისელებს ინტერნატებში ისე გაუჭირდათ, რომ მათს 45 წლის მწვრთნელ თემურ ბენდიაშვილს მოედანზე გასვლა მოუწია. გარდა ამისა, „ვესტას" აკლდნენ დაშავებული მარჯანიშვილი და მოუცლელი ხუადე.

„აზოტმა" სათამაშოდ, პირიქით, საუკეთესო შემადგენლობა შეკრიბა, ჩაიყვანა რა რუსთავში შვიდივე თბილისელი ან ექს-თბილისელი, რომლებსაც გუნდის ჩამონათვალში ვარსკვლავები * ამშვენებთ. ბატონი საშას დაჟინებითა და მონდომებით იმ დღეს მოედანზე ვიხილეთ ტანმაღალი გია რაფავაც, რომელიც ერთობ დიდი ძალაა, მაგრამ დიდი რაგბისთვის დაკარგულად მიაჩნიათ.

გამარჯვებაში მკვიდრი რუსთაველების წვლილს არ ვაკნინებთ, მაგრამ ის კი სათქმელია, რომ „ვესტას" ხელი თავად ყოფილმა ვესტელებმა მოუთავეს. შესვენებამდე, ვიდრე თბილისის გუნდი ჯერ კიდევ ყოჩაღად იყო და მასპინძლებს ტოლს არ უდებდა, ერთადერთი ირაკლი ლეჟავა ირჯებოდა გონივრულად. შესვენებაზე „აზოტმა" შალვა გოგიშვილი შეიყვანა 10 ნომრად, ექს-ვესტელი ლევან ჩიქვინიძე კი შუამარბად გაამწესა და მანაც თამაშის განახლებისთანავე მეტოქის დაცვის ხაზის წამდაუწუმ გარღვევა დაიწყო. ამისდა მიუხედავად, ლეჟავას საჯარიმოების წყალობით რუსთაველები მაინც ცოტათი იგებდნენ მანამ, სანამ რაფავა თამაშის იმტაზე მოვიდოდა დაწყებიდან 70 წუთის შემდეგ. გიამ ჯერ ერთობ საზიფათო აბრაგანი მოიგერია, როცა დაწინაურდა, ყველაზე მაღლა ახტა და ბურთი დაიჭირა; მერე დერეფანი მოიგო და წინ გაიჭრა, რაც კარში დახარტყმელი მორიგი საჯარიმოთი დასრულდა 9:3; ბოლოს კი ორი ლელოც გაიტანა: ერთი — მოლის შემდეგ, მოკლე ფრთაზე, როცა ზაზა ხუციშვილმა მარჯვედ მიაწოდა ბურთი, მეორე კი უშუალოდ მეტოქის ლელოსთან გათამაშებული დერეფნიდან.

ამერის პირველობა დასრულდა, მაგრამ ჩემპიონი არ გამოვლენილა — „აზოტმა" და „შევარდენმა" ქულები თანაბრად დააგროვეს. ორივემ მოიპოვა საქართველოს პირველობაზე თამაშის უფლება. ეს შეჯიბრება 22-24-26 დეკემბერს თბილის-რუსთავში უნდა გამართულიყო, მაგრამ რაგბის კავშირმა და იმერმა, ანუ „იამა" და „ერქვანმა" — ერთურთს ხმა ვერ მიაწვდინეს, რის გამოც ჩემპიონატი ჩაიშალა. ასეთ დროს უთუოდ უპრიანი იქნებოდა, საქართველოსი თუ არა, ამერის ჩემპიონი მაინც გამოვლენილიყო, ანუ „აზოტსა" და „შევარდენს" ერთხელაც ეთამაშათ, მაგრამ ჩვენი რაგბის ხელისუფლები ამ აზრს ერთობ გულცივად შეხვდნენ იმისდა მიუხედავად, რომ ორივე გუნდსა და, უეჭველია, საზოგადოებრიობასაც ამ თამაშის გამართვა სურთ.

ასეა თუ ისე, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ეს თამაში არ გაიმართება, რაკიღა გუნდები კავშირის ზედმეტად გალიზიანებას ერიდებიან. სამაგიეროდ, რაგბის თამაშის ნაცვლად შაბათს ჩატარდება რაგბის კავშირის ყრილობა!

ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, „აზოტი" და „შევარდენი" არაოფიციალურ თანა-ჩემპიონებად რომ გამოვაცხადოთ!

### გადასასვლელი ტურნირი

ვაკე. (სამ), 14.XII: ლავრი 10 (ლ, გ, ს) — ქორები 3 (ა); ყოჩები 17 (ლ, 4ს) — ლელო 12 (4ს). (ხუთ), 16.XII: ყოჩები 6 (2ს) — ლავრი 0; ქორები 11 (ლ, 2ს) — ლელო 10 (ლ, გ, ს). (კვი), 19.XII: ქორები 0 — ყოჩები 18 (2ლ, გ, 2ს), ლელო 15 (2ლ, გ, ს) — ლავრი 10 (ლ, გ, ს)

| | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ყოჩები (I) | 3 | 0 | 0 | 41:12 | 3 | 6 |
| ლელო (II) | 1 | 0 | 2 | 37:38 | 3 | 2 |
| ლავრი (II) | 1 | 0 | 2 | 20:24 | 2 | 2 |
| ქორები (I) | 1 | 0 | 2 | 14:38 | 1 | 2 |

გაისად ამერის I ჯგუფში ითამაშებენ აზოტი, შევარდენი, ვესტა, ამირანი, თბილისი და ყოჩები; II ჯგუფში კი — ლელო, ლავრი, ქორები, რაში, ხაშური, უნივერსიტეტი და აკადემია.


კომერციული ბანკი
Commercial Bank
MB
მინაგობანკი MINAGOBANK

„ბანკი, რომელსაც არ ჰყავს უკმაყოფილო კლიენტი"

სასტუმრო „აჭარა"
ოფისი № 305
ტელეფონი: 369 096, 369 407

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ლომბარდი"

თბილისი, ჯიქიას ქუჩა, 8

# ...დენი, მსაჯები და ...კალათბურთი

...ლათბურთელებს საახალწლო არდა-...ი დაუდგათ. დასვენების წინ მათ მე-...წრის პირველი ეტაპი ჩაატარეს, ანუ ...რთა პირველი და მეორე ქვეჯგუფე-...ატჩები. ამჯერად შეხვედრების გარ-...არ მოვყვებით, თუმცა ყველა მატჩის ...ება მაინც ვერ მოხერხდა – სამი გა-...ულია. „ვითასა" და „კაქტუსის" შეხ-...როგორც ადრეც გაუწყეთ, „კაქტუ-...იტალიაში, საშობაო ტურნირზე გამ-...ების გამო გადაიდო, „დინამო" – ...რსი", იმის გამო, რომ იგი ცნობილი ...ტული მოღვაწის ლეონიდ ძეკო-ნსკის დაკრძალვას დაემთხვა, ხოლო „თბილისისა" და „დინამოს" თამაში, პირველი წრის მსგავსად, პირველ ტაიმში შეწყდა, ოღონდ ამჯერად არა აყალმაყალის, არამედ დარბაზში ელექტროენერგიის გამორთვის გამო. ამგვარად „დინამომ" ნაცვლად ოთხისა, ორი შეხვედრა ჩაატარა. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ჩანს, ელექტროენერგია მოსახლეობისა არ იყოს, კალათბურთსაც მაინცდამაინც არ სწყალობს. რამდენიმე მატჩი ფანჯრებიდან შემოსულ დღის შუქზე ჩატარდა. კიდევ კარგი, ამ მატჩებში აშკარად ძლიერები მათზე აშკარად სუსტებს ხვდებოდნენ და ბევრი სადარდებელიც არ ჰქონიათ, თორემ აბა კალათბურთის თამაში ელექტრონიკის გარეშე სად გაგონილა. გუნდები, ხომ გამუდმებით საქმის კურსში უნდა იყვნენ თუ რა ანგარიშია, შეტევისთვის განკუთვნილი 30 წამიდან რამდენი დახარჯეს და სხვა. ტურმა ვერც ექსცესების გარეშე ჩაიარა. ჯიქელი ლოლიშვილი მსაჯის გალანძღვისთვის მოედნიდან გააძევეს, ანუ იგი დებულების თანახმად ხუთ თამაშს გამოტოვებს, მისი კლუბი კი ჯარიმას – 300 ათას კუპონს გადაიხდის. მინიმუმ იგივე ბედი ეწია ქუთაისის „ჯიხვის" ცენტრს მაჩალაძესაც. მანაც მსაჯს შეაგინა, ხოლო თამაშის შემდეგ განცხადებებთან მასზე გალაშქრებაც მოიწადინა. მაჩალაძე ქუთაისელთა ლიდერია და ნამდვილად ვერ გეტყვით რა მოიგო მან ამ თავის მოგიჟიანებით ისეთი, ხუთი თამაშის გამოტოვებად რომ ღირდა. გადამწყვეტ, შერეულ ტურში ქუთაისელებმა მის გარეშე შეიძლება ჰაერივით საჭირო ქულები დაკარგონ. ახლა მსაჯებს და მსაჯობას რაც შეეხება. „აზოტისა" და „ჯიხვის" მატჩის დაწყებას მაყურებელი ერთ საათს ელოდა. მიზეზი: წინა დღის ამბების (მაჩალაძის ინციდენტი და „თორსთან" მატჩში რუსთაველთა მწვრთნელის მოედანზე გაჭრა) შემდეგ მსაჯებმა, რაღაც დაუგეგმავი გაფიცვისმაგვარი აქცია მოაწყვეს. ხვეწნა-მუდარის შემდეგ ისინი მაინც გამოვიდნენ მოედანზე. მაგრამ პრობლემა პრობლემად რჩება. შეუიარაღებელი თვალითაც ნათელია, რომ ორი-სამი არბიტრის გარდა სხვები შეცდომებს უშვებენ, კალათბურთში კი მსაჯის თითოეული შეცდომის ფასი მეტია, ვიდრე ვთქვათ, ფეხბურთში. ხშირად შეიმჩნევა ხოლმე, რომ მსაჯი დაბნეულია და გადაწყვეტილებას თამამად ვერ იღებს. ეს რა თქმა უნდა გაღიზიანების საბაბს აძლევს, როგორც მოთამაშეებს, ასევე გულშემატკივარს, მაგრამ პრობლემის მოგვარება გინება და ისტერიული მოქცევა რომ არ არის, ესეც ხომ ფაქტია. საქართველოს ჩემპიონატზე ჯერ არ ყოფილა თუნდაც ოდნავ დაძაბული შეხვედრა, ორივე გუნდი მსაჯობის უკმაყოფილო რომ არ იყოს. იმავე „დინამო" – „ჯიხვის" მატჩის შემდეგ ქუთაისელები აღშფოთებულნი იყვნენ არაობიექტური მსაჯობით, ამის პარალელურად დინამოელთა გულშემატკივრები გაიძახოდნენ გუნდს გვიჩაგრავენო. ამ მტკივნეული საკითხის მოგვარების რეცეპტი ჩვენ ბუნებრივია არ გვაქვს და არც გვგონია, რომ იგი უახლეს დროში მოგვარდეს. საქმეს იქნებ მსაჯთა აღზრდის გრძელვადიანი პროექტი თუ უშველის, ასე რომ ალავერდს ჩვენი კალათბურთის მესვეურებთან გადავდივართ.

ასეა თუ ისე, ჩემპიონატის ერთი ნაწილი ჩატარდა და ჩვენი დღევანდელი შავი ყოფის კვალობაზე არც თუ ურიგოდ. ამის მთავარი მიზეზი კი ალბათ ის არის, რომ, ჩვენი დაკვირვებით, კალათბურთში, ზოგი სახეობისგან განსხვავებით ჩაწყობილი მატჩები არ არის. ქართველები კარგად ვთამაშობთ თუ ცუდად, გულიანად ვთამაშობთ და სპორტული პაექრობის მთავარ თვისებას, ჟინს, აზარტს, არ ვკლავთ.

ილია ბაბუნაშვილი

...აქართველოს ჩემპიონატი. II წრე

I ჯგუფი

10 დეკემბერი

„კაქტუსი" – „ჯიქი" 95:65

...ქტუსი": ა. ულენტი (7), ბერძენიშვილი ...), ჩხეიძე (23), ნაცვლიშვილი (34), ...ბრამიძე; ხუხაშვილი (5), ქართველი-...შვილი (2), ოთიურიძე (4), აბულა-...ძე (10), ტეფნაძე, დილმელიშვილი (2).
...ქი": ნივნივაძე (10), მერკვილაძე (7), ...დავითაია (2), ლომთაძე (11), ლოლი-...შვილი (15); შერმადინი (2), გოგალა-...ძე (15), ორჯონიკიძე (3), ჩოგოვაძე, ...იჭიაშვილი.

„ვითა" – „შევარდენი" 85:38

...თა": მაჭარაძე (6), ჩუბინიძე (20), უძი-...ლაური (13), ბეჟანიშვილი (20), ტუ-...რაშვილი (4); ორმოცაძე (4), დადია-...ნი (18).
...ვარდენი": თაბუაშვილი (3), ესიტაშვი-...ლი (4), მაჭავარიანი (7), ისაკაძე, ინა-...ძე (3); სართანია (2), გაფრინდაშვილი ...(19), ფიოდოროვი, ლვინეფაძე, ქავთა-...რაძე.

11 დეკემბერი

„კაქტუსი" – „შევარდენი" 73:48

...ქტუსი": ა.ულენტი (2), ჩხეიძე (12), ...ოთიურიძე (2), ტეფნაძე (6), ს.ულენტი ...(3); ქართველიშვილი (2), ხუხაშვილი ...(10), ბერძენიშვილი (11), აბულაძე (8), ...ნაცვლიშვილი (8), აბრამიძე (2), დი-...ლმელიშვილი (2).
...ვარდენი": თაბუაშვილი, ესიტაშვილი ...(10), გაფრინდაშვილი (15), ინაძე (4), ...მაჭავარიანი (10); ფიოდოროვი, სარ-...თანია (2), ისაკაძე (7), ქავთარაძე.

„ვითა" – „მერანი" 81:60

... ორმოცაძე (6), უძილაური (17). ...ეზიშვილი (7), ბერუაშვილი (2), ...ებაპავიძე (10); მაჭარაძე, ჩუბინიძე ...), ბეჟანიშვილი (13), ტურაშვილი ...(5).
...რანი": რაზმაძე (10), ანდღულაძე (17), ...პეტრიაშვილი (5), გაბრიჩიძე (17), გი-...გაური (4); კობახიძე, შუხოშვილი (2), ...გურგენიძე (3), ჩიხლაძე (2).

12 დეკემბერი

„კაქტუსი" – „მერანი" 89:55

...ქტუსი": ა. ულენტი (7), ჩხეიძე (24), ნა-...ცვლიშვილი (28), ბერძენიშვილი (7), ...ქართველიშვილი (6); აბრამიძე (2), ხუ-...ხაშვილი, ოთიურიძე (3), აბულაძე (8), ...ტეფნაძე (2), ს.ულენტი (2).
...რანი": ანდღულაძე (15), გიგაური (5), ...პეტრიაშვილი (8), რაზმაძე (14), გა-...ბრიჩიძე; ჩიხლაძე, კობახიძე (4), ბერი-...ძე (2), გურგენიძე (3), სიხარულიძე ...(4).

„ჯიქი" – „შევარდენი" 50:76

...ქი": ნივნივაძე (8), ლოლიშვილი (8), ...გოგალაძე (6), დავითაია (10), ლომ-...თაძე (2); შერმადინი (6), ბიჭიაშვილი ...(10), ორჯონიკიძე, მერკვილაძე, შველი-...ძე.
...ვარდენი": მაჭავარიანი (23), ლვინეფა-...ძე, გაფრინდაშვილი (29), ინაძე (12), ...ესიტაშვილი (6); ფიოდოროვი (2), თა-...ბუაშვილი, სართანია (4).

13 დეკემბერი

„მერანი" – „ჯიქი" 70:51

...რანი": ანდღულაძე (29), გიგაური (11), ...პეტრიაშვილი (6), კობახიძე (2), რა-...ზმაძე (11); გურგენიძე (4), ჩიხლაძე (2), ...ბერიძე (5), სიხარულიძე
...ქი": მერკვილაძე (19), ნივნივაძე, ბი-...ჭიაშვილი (11), დავითაია (6), შველიძე ...(5); ლომთაძე (8), შერმადინი, გოგა-...ლაძე (2), ორჯონიკიძე

...აქტუსი" – „ვითა" გადაიდო „კაქ-...ტუსის" იტალიაში გამგზავრების გამო

14 დეკემბერი

„შევარდენი" – „მერანი" 62:67

...ევარდენი": გაფრინდაშვილი (7), ინაძე ...(12), მაჭავარიანი (17), ფიოდოროვი ...(11), ესიტაშვილი (7); სართანია (3), ...ლვინეფაძე (5), თაბუაშვილი.
...ერანი": გიგაური (12), რაზმაძე (8), კო-...ბახიძე (4), პეტრიაშვილი (9), ანდღუ-...ლაძე (22); ბერიძე (6), გურგენიძე (6).

„ვითა" – „ჯიქი" 86:60

...თა": შენგელია (19), ტურაშვილი (4), ...ბეჟანიშვილი (30), უძილაური (9), ჩუ-...ბინიძე (17); ორმოცაძე (5), მაჭარაძე ...
...ქი": ლომთაძე (32), მერკვილაძე (3), ...დავითაია, შერმადინი (8), შველიძე ...(10); ბიჭიაშვილი (5), გოგალაძე (2), ...ორჯონიკიძე.

II ჯგუფი

15 დეკემბერი

„აზოტი" – „თბილისი" 82:102

„აზოტი": აბზიანიძე (8), ბერუაშვილი (24), აბაშიძე (7), კეჭაყმაძე (3), გოგობერიშვილი (27); გაბისონია (6), კიკვაძე (3), ქობულაძე (4).
„თბილისი": აბულაშვილი (4), ახვლედიანი (15), ქარაბაკი (18), ცაგარეიშვილი (15), დერიუგინი (20); ხელაშვილი (11), ქორქია (1), შავლოხაშვილი (5), კოკოლიშვილი (13).

„თორსი" – „ჯიხვი" 86:73

„თორსი": ტალაბაძე (5), დ.თორთლაძე (28), ხარაძე (6), ღუდუშაური (2), ფერიაშვილი (39); ცაგარეიშვილი, ი.თორთლაძე (2), იაშვილი (4).
„ჯიხვი": ხუჯაძე (13), ბერეკაშვილი (9), გუმბერიძე (7), მაჩალაძე (15), გოქსაძე (9); ნაცვლიშვილი (9), დევიძე, გუგუციძე, ჯალაღონია, თურქაძე, ჩიხრაძე, გუბელაძე (11).

16 დეკემბერი

„თბილისი" – „ჯიხვი" 104:52

„თბილისი": ხელაშვილი (10), ახვლედიანი (15), ცაგარეიშვილი (11), აბულაშვილი (8), ქარაბაკი (18); შავლოხაშვილი (10), გურასპაული (10), ქორქია (5), კოკოლიშვილი (10), ქორფაშვილი (2), დერიუგინი (5).
„ჯიხვი": ბერეკაშვილი (2), ნაცვლიშვილი, გუბერიძე (12), მაჩალაძე (17), გოქსაძე (9); გუბელაძე (8), დევიძე, ჯალაღონია, ჩიხრაძე (4), თურქაძე, გუგუციძე.

„დინამო" – „თორსი" გადაიდო

17 დეკემბერი

„დინამო" – „ჯიხვი" 98:78

„დინამო": სამხარაძე (4), გ. ვაშაკიძე (24), ი. ვაშაკიძე (33), კილაძე (4), ცხვედიანი (12); მაისურაძე (2), დავითულიანი (8), სხიერელი (4), გოგუა (2)
„ჯიხვი": ხუჯაძე (17), ბერეკაშვილი (12), გუმბერიძე (6), მაჩალაძე (21), გოქსაძე (5); ნაცვლიშვილი (3), გუბელაძე (5), დევიძე (2), ჩიხრაძე (2), თურქაძე (5), გუგუციძე

„აზოტი" – „თორსი" 85:90

„აზოტი": ბერუაშვილი (18), გოგობერიშვილი (46), გაბისონია (5), აბაშიძე (3), მიქიაშვილი (9); კეჭაყმაძე, აბზიანიძე, კიკვიძე (3), ქობულაძე (1)
„თორსი": დ. თორთლაძე (32), ი. თორთლაძე (7), ხარაძე, ფერიაშვილი (40), ტალაბაძე (13); ცაგარეიშვილი (2), ღუდუშაური 6), იაშვილი

18 დეკემბერი

„აზოტი" – „ჯიხვი" 95:85

„აზოტი": ბერუაშვილი (24), გოგობერიშვილი (28), აბაშიძე (14), ქობულაძე (19), კოჭლამაზაშვილი (2); გაბისონია (2), მიქიაშვილი, კეჭაყმაძე (6), აბზიანიძე, კიკვიძე
„ჯიხვი": ნაცვლიშვილი (15), გუმბერიძე (13), გოქსაძე (16), გუბელაძე (9), ხუჯაძე (20); თურქაძე, დევიძე (10), ბერეკაშვილი (2)

„თბილისი" – „დინამო" I ტაიმის ბოლოს დენის გამორთვის გამო შეწყდა

19 დეკემბერი

„თბილისი" – „თორსი" 120:106

„თბილისი": ახვლედიანი (21), აბულაშვილი (5), ქარაბაკი (11), გურასპაული (13), დერიუგინი (28); კოკოლიშვილი (13), ქორქია (5), შავლოხაშვილი (4), ცაგარეიშვილი (8), ხელაშვილი (12)
„თორსი": დ. თორთლაძე (40), ხარაძე (4), ფერიაშვილი (20), ტალაბაძე (11), ღუდუშაური (14); იაშვილი (2), ცაგარეიშვილი (12), ი. თორთლაძე (3)

„დინამო" – „აზოტი" 93:87

„დინამო": გ. ვაშაკიძე (23), დარსაძე (15), სხიერელი (4), ი. ვაშაკიძე (10), ცხვედიანი (35); კილაძე (6), ბაქრაძე, სამხარაძე
„აზოტი": გაბისონია (3), ბერუაშვილი (6), აბაშიძე (3), მიქიაშვილი (6), გოგობერიშვილი (28); აბზიანიძე (19), კოჭლამაზაშვილი (4), ქობულაძე (7), კეჭაყმაძე (11)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ვითა | 12 | 12 | 0 | 1077-740 | 24 |
| თბილისი | 12 | 11 | 1 | 1148-836 | 23 |
| კაქტუსი | 12 | 10 | 2 | 991-810 | 22 |
| თორსი | 12 | 7 | 5 | 1074-1048 | 19 |
| აზოტი | 13 | 5 | 8 | 1039-1112 | 18 |
| მერანი | 13 | 5 | 8 | 921-1051 | 18 |
| დინამო | 11 | 7 | 4 | 922-804 | 17 |
| ჯიხვი | 13 | 3 | 10 | 901-1090 | 16 |
| ჯიქი | 13 | 1 | 12 | 860-1092 | 14 |
| შევარდენი | 13 | 1 | 12 | 835-1185 | 14 |



## მალე ფორმაში შევალ

რამდენი ქულა მოიპოვა ცხვედიანმა? ეს „დინამოს" ყოველი მატჩის შემდეგ ქომაგთა ტრადიციული კითხვაა. თუ შარშანდელი სეზონის საუკეთესო კალათბურთელს თამაში წაუვიდა, მისი შეჩერება ძალიან ძნელია...

— შალვა, გაგვაცანი თავი.

— დავიბადე 1970 წლის 15 აპრილს. მყავს ცოლი ეკა და 9 თვის გოგონა მაკა.

— როგორ აღმოჩნდი კალათბურთში?

— კალათბურთზე ჩემმა დამ, ქეთინომ მიმიყვანა 126-ე სკოლაში, მაშინ მე-4 კლასში ვიყავი. იმ დროს იქმნებოდა თამაზ ოქრუაშვილის „მართვე" და მე-5 კლასიდან იქ აღმოვჩნდი. 1989 წლიდან „დინამოში" ვარ.

— რას იტყოდი „დინამოზე"?

— ჩემპიონატამდე ერთი კვირით ადრე შევიკრიბეთ და ძნელია მოკლე ხანში ძლიერი, მობილური გუნდის შექმნა. საბრძოლო განწყობილება გვაქვს, მაგრამ შეთამაშება გვაკლია.

— როგორ შეაფასებ შენს თამაშს?

— შარშანდელთან შედარებით ცუდად, თუმცა ამას აქვს მიზეზები. წინა ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ფაქტიურად არ მივარჯიშია, ვარჯიში მხოლოდ ოქტომბერში განვაახლე, მალე ალბათ შევალ ჩვეულ ფორმაში.

— მოედანზე ემოციური ჩანხარ...

— შარშანდელთან შედარებით ნამდვილად ემოციური გავხდი. ძნელია თავის შეკავება, როცა მსაჯი ისეთ შეცდომებს უშვებს, რომელზედაც მაყურებელიც კი რეაგირებს. მსაჯს შეცდომას ვპატიებ, ოღონდ ამ შეცდომამ თამაშზე და ანგარიშზე არ უნდა იმოქმედოს.

— რა გეგმები აქვს „დინამოს"?

— ამ ჩემპიონატზე ძნელია სამეულში მოხვედრა. წელს ჩვენი მიზანია, გუნდმა იპოვოს თავისი სახე, შეთამაშდეს, გაიხსნას კი...

## დიდი ძალა შეგვემატება



რუსთავის „აზოტის" ახალგაზრდული გუნდი საინტერესოდ თამაშობს, რამდენიმე თამაში მოიგო და ექვსეულში მოხვედრის შანსი აქვს. გვესაუბრება რუსთაველთა მწვრთნელი ოთარ ხმელიძე.

— რას იტყოდით გუნდის შესახებ?

— „აზოტი" კონტრასტული გუნდია. ერთ დღეს შეუძლია მოუგოს ძლიერ გუნდს, ხოლო მეორე დღეს წააგოს სუსტთან. გვაკლია ისეთი გამთამაშებელი, რომელიც თავის თავზე აიღებდა თამაშს.

— ვის გამოყოფდით გუნდიდან?

— ბერუაშვილს (ინტერვიუ ჩამორთმეულია გუნდში რამაზ გოგობერიშვილის დაბრუნებამდე – ს. კ.).

— როგორია გუნდის პერსპექტივები?

— კარგი თაობა გვეზრდება. 2-3 წლის შემდეგ დიდი ძალა შეგვემატება.

— რა არის გუნდის მიზანი?

— მე-5 ადგილის დაკავება.

— ვინ გაფინანსებთ?

— საწარმოო გაერთიანება „აზოტი", ცდას არ აკლებენ, მაგრამ დარბაზში არაა გათბობა, ცხელი წყალი, ხშირად გვეთიშება დენი, გვაქვს 6 ბურთი. უტრანსპორტობის გამო ბიჭებს 4-5 კილომეტრის ფეხით გავლა უხდებათ.

— რას იტყოდით მსაჯობაზე?

— ორიოდე მსაჯია ღირსეული.

— როგორი დონისაა ჩემპიონატი?

— შარშანდელთან შედარებით დონემ აიწია. გამოირჩევიან „ვითა" და „თბილისი".

სოსო კოჭლამაზაშვილი

## მებრძოლი გუნდი – «ჯიხვი»

ქუთაისის „ჯიხვი" წამყვანი გუნდი არ არის. იგი მრავალი კომპონენტით ჩამოუვარდება დღევანდელ ლიდერებს, მაგრამ მებრძოლი გუნდია. ვესაუბრეთ კლუბის დირექტორს, გუნდის უფროსს გია თავხელიძეს და მთავარ მწვრთნელს ზაურ დოლაბერიძეს.

— ჩვენს გუნდს, რომელსაც შარშან „რიონი" ერქვა, მეპატრონე გამოუჩნდა, ეს არის ფირმა „ჯიხვი" და მისი პრეზიდენტი მევლუდ ჯიხვაძე, – თქვა გია თავხელიძემ. ქუთაისში სპორტსკოლის დარბაზში ვვარჯიშობთ, მისი დირექტორი ცეზარ მეგენიშვილი ხელს გვიმართავს. გუნდის შემადგენლობა ფაქტობრივად იგივეა, „რიონში" რომ იყო. დასაკომპლექტებლად და მოსამზადებლად მეტი დრო რომ გვქონოდა, შესაძლოა, თბილისის კლუბებში მოთამაშე ერთი-ორი ქუთაისელიც მოგვეწვია. პირველ ეტაპზე შავი ლენტებით ვთამაშობდით: მოულოდნელად დაგვეღუპა მეტად ნიჭიერი ახალგაზრდა კალათბურთელი ირაკლი ჯალაღონია. დღეს „კაქტუსის" შემდეგ ჩვენი გუნდი ყველაზე ახალგაზრდულია. სამწუხაროდ, ჩვენს ქალაქში დღეს ისე კარგად ველარ არის კალათბურთის საქმე, სულიკო თორთლაძის დროს რომ იყო. ბალახვანში 1968 წელს დაიწყეს დარბაზის მშენებლობა და დღემდე ვერ დაუსრულებიათ. ჩვენი საქმე ოდნავ იმით გამოსწორდა, რომ მე-4 სკოლაში გაიხსნა დარბაზი. ამ საქმეს ხელი „რიონის ბირჟამ" მოკიდა, ისიც კალათბურთს მეცენატობს. ამ ჩემპიონატში თავს არ შევირცხვენთ და შეძლებისდაგვარად უკეთეს ადგილს დავიკავებთ, ზაფხულში კი ბათუმში ან საირმეში მოვაწყობთ შეკრებას. შევეცდებით გუნდის გაძლიერებას, ოღონდ ქუთაისელების გარდა არავის მოვიწვევთ. მოწვეულ კაცს მინც გაქცევაზე ექნება თვალი.

— ბატონო ზაურ, თქვენს გარდა ვინ ხელმძღვანელობს გუნდს?

— გუნდის მწვრთნელია შოთა ჯავახიშვილი, საერთო ფიზიკურ მომზადებას ლევან ბეგოშვილი უძღვება.

— როგორ აფასებთ ამ ეტაპზე „ჯიხვის" თამაშს?

— პირველი ტურის მატჩებში უკმაყოფილო ვიყავი, შემდეგ თამაში გავაანალიზეთ და ახლა გუნდის ტაქტიკურტექნიკურმა დონემ აიწია. უხეირო თამაში იმის ბრალიც არის, რომ ზოგი მოთამაშე სისტემატურად არ ვარჯიშობს.



ზაურ დოლაბერიძე და გია თავხელიძე

— მომავალში რის ხარჯზე უნდა გაძლიერდეს გუნდის თამაში?

— კოლექტიური თამაში უნდა დავხვეწოთ. ჯერჯერობით ულიდერო გუნდი გვყავს. იმედი გვაქვს, ლიდერები გამოიკვეთებიან.

— გამოკვეთილი, ძლიერი ცენტრიც არ გყავთ...

— ამ პოზიციაზე მაჩალაძე და ამირან ჯალაღონია თამაშობენ. მაჩალაძე ცენტრისთვის მაღალი არ არის, მაგრამ ძალიან მებრძოლია, ჯალაღონია კი შედარებით ახალგაზრდაა, გამოუცდელი, თანაც თბილისში სწავლობს და ხეირიანად ვერ ვარჯიშობს. მინდა უკანა ხაზის მოთამაშეები, გამოცდილი ნაცვლიშვილი, გუმბერიძე და ახალგაზრდა ბერეკაშვილი გამოვყო.

უცხო ხილი

# სქვოში

სქვოშს პინგ-პონგისხელა რეზინის ბურთით თამაშობენ კორტზე, რომელიც ოთხკუთხედია და კედლებით არის შემოღობილი. ერთეულთა თამაშისთვის კორტის სიგრძე 10 მეტრია, სიგანე — 5,5 მეტრი, სიმაღლე კი — 5 მეტრი.

ბურთს ჩოგანს ურტყამენ. ბურთი ხვდება კედლებს და იქიდან არეკლილი ეცემა იატაკს. ქულა მოგებულად მიიჩნევა, თუ ვიდრე მეტოქე მის დარტყმას შეძლებდა, იგი იატაკს ორჯერ ან მეტჯერ დაეცა.

ქულის წაგებასთან ერთად მოთამაშე მოწოდებასაც კარგავს. თამაშის მოსაგებად კაცთა შეჯიბრებებში სამი ხელის მოგებაა საჭირო. პირად ტურნირებში ხელის მოსაგებად 15 ქულის მოგროვებაა აუცილებელი, გუნდურ შეჯიბრებებში კი — 9 ქულისა. თუ ანგარიში 13:13 იქნა, ბოლო ქულის წამგები წყვეტს, რამდენ ქულამდე ითამაშონ — 15, 16 თუ 18-მდე. 14:14-ზე (13:13-ის გაუვლელად) თამაში 15 ან 17 ქულამდე გრძელდება.




კორტზე ბადე არაა გაბმული, ამიტომ მეტოქეები მხარდამხარ თამაშობენ. თამაშის ტაქტიკა ეფუძნება იმას, რომ მოედნის შუაგული გეჭიროს, ბურთს კი ისე ურტყა, რომ მეტოქე შენს წინ აქეთ-იქით არბენინო და მოქანცო. ზოგჯერ, როცა ბურთს საშინელი ძალით უნდა დაჰკრა და ქულა მოიგო, მიზანშეწონილია წინ, კედლისკენ გასვლაც.

წესების თანახმად, მეტოქეს გზა არ უნდა შეუკრა და დასარტყმელადაც ბურთთან უნდა მიუშვა. ამ პრინციპის დარღვევისათვის მესქვოშე ჯარიმდება. თუ დარტყმული ბურთი მეტოქეს მოხვდა, მტყუან-მართალი დარტყმის მიმართულების და მიხედვით განირჩევა.

სქვოში (ანუ „სქვოშ-რექითს") 1817 წელს გამოუგონიათ ლონდონის ჰაროუს სკოლაში, სერიოზულ თამაშად კი ამერიკელებს უქცევიათ XX საუკუნის გარიჟრაჟზე. ჩოგბურთის მსგავსად, სქვოშიც თავიდან სამოყვარულო თამაში ყოფილა. პირველ დიდ ჩემპიონს, ეგვიპტელ აბდელ-ფათახ ამრ-ბეის 1930-იან წლებში ექვსჯერ გაუმარჯვნია მსოფლიოს სამოყვარულო ჩემპიონატში. პაკისტანელ ჰაშიმ ხანს 1950-იან წლებში შვიდჯერ მოუგია ბრიტანეთის ღია პირველობა, ავსტრალიელ ჯეფრი ჰანტს კი 1967-81 წლებში ჯერ სამჯერ გაუმარჯვნია სამოყვარულო ჩემპიონატში, მერე კი ორჯერ — ღია პირველობაში (ე.ი. რომელშიც პროფესიონალები მოყვარულებთან ერთად თამაშობდნენ) და კიდევ რვაჯერ — ბრიტანეთის ღია პირველობაზე. დღესდღეობით მსოფლიო სქვოშში პაკისტანი, ავსტრალია და ინგლისი ბატონობენ. სწორედ ორი პაკისტანელი და სამ-სამი ავსტრალიელ-ინგლისელი გავიდა მსოფლიოს ღია პირველობის მეოთხედფინალში. ეს შეჯიბრება ამას წინათ პაკისტანის ქალაქ ყარაჩში დასრულდა და მერე იქვე გაჩაღდა მსოფლიოს გუნდური პირველობა, რომელშიც სიძლიერის მიხედვით სამ 8-გუნდიან კატეგორიად დაყოფილი სამკაციანი ნაკრებები ჩაებნენ.

## ...მისივე ინტრიგებითურთ

ღია პირველობაში ორმა პაკისტანელმა, გვარებად ხანმა — იმჟამინდელმა ჩემპიონმა ჯანშირმა და ექს-ჩემპიონმა ჯაჰანგირმა შავი დღე აყარეს მეტოქეებს და ფინალში ერთმანეთს შეერკინენ. 29 წლის ჯაჰანგირს აქამდე ათჯერ (!) მოეგო ბრიტანეთის ღია პირველობა, ექვსჯერ კი — მსოფლიოს ჩემპიონობა, მაგრამ ზურგის ტრავმის გამო ცხრა თვე ვერ ეთამაშა და მშობლიურ ქალაქში ასპარეზობის ხათრით დროებით დაბრუნებოდა სარბიელს. ჯაჰანგირმა მართლაც მოიგო პირველი ხელი, მაგრამ მერე ფეშავარელმა ჯანშირმა იძალა და 45-წუთიან თამაშში მეხუთედ მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონობა, რითაც ჯაჰანგირთან ღია პირველობის ფინალში 1988 წლისეული წაგებისათვის რევანში აიღო.

ფინალის ხვალ ჯანშირმა და ჯაჰანგირმა ზარად ჯაჰან-ხანი დაიმატეს და პაკისტანური ტრიო შეადგინეს, ოლონდაც ცოტა იეშმაკეს და ჯაჰანგირი მესამე ნომრად გაამწესეს. ეს ოინი შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ინგლისელებს, რომლებმაც ორგანიზატორებთან იჩივლეს. ამათ ჯაჰანგირი მეორე ნომრად გადააყვანინეს. დიდმა ხანმა ეს რომ შეიტყო, ერთი აურზაური მოაწყო და დარბაზიდან გაიქცა, პაკისტანის გუნდი კი სქვოშის მამებთან მიიჭრა და დავა გაუმართა. საქმის გარჩევა ერთ საათს გაგრძელდა, პაკისტანის პირველი მეტოქე ეგვიპტე კი მოთმინებით ელოდა მატჩის დაწყებას.

კამათი რომ დამთავრდა, ახლა ეგვიპტემ იჩივლა, პაკისტანის მიზეზით პირველი შეხვედრის დაწყება დაგვიანდა და ამიტომ მასში უთამაშებლად მოგება ჩაგვითვალეთო. ამაზე პაკისტანელებმა თქვეს, ტურნირს მივატოვებდით, ჩვენს მშობლიურ ყარაჩში რომ არ ტარდებოდესო. ბოლოსდაბოლოს ეგვიპტეს თავი მოუქონეს, ჯერ ითამაშეთ და თქვენს პროტესტს ხვალ დილით განვიხილავთო.

ეგვიპტე გაბრიყვდა, ითამაშა და 1-2 წააგო. ამით იმედმოცემულმა საჩივარი განაახლა — პირველი შეხვედრის ქულა მარგუნეთ და მატჩში 2-1 მოგებულად გამომაცხადეთო. ამის პასუხად ორგანიზატორებმა პაკისტანელთა დანაშაული თავად დაიბრალეს: ეგვიპტელებო, ფორმალურად კი მართლები ხართ, მაგრამ ხომ ხედავთ, შარიანი ინგლისელების საჩივარმა რა დღეში ჩაგვაგდო მასპინძლებიო — პაკისტანელებს გამოუცხადებლობა როგორ დავწამოთ, აგერ აქ არ იყვნენ, რომ გვედავებოდნენო. ერთი სიტყვით, მამებმა, როგორც უნდოდათ, კანონი ისე ჭრეს და კერეს და ეგვიპტე მშრალზე დატოვეს.

ამის შემდეგ ჯაჰანგირი შეჯიბრებას დაუბრუნდა. მან მეორე ნომრად ითამაშა და პაკისტანმაც 3-0 მოუგო ახალ ზელანდიას, მაგრამ მერე 1-2 წააგო ავსტრალიასთან, ნახევარფინალში მომჩივან ინგლისს ჯახირ-ჯახირ, ორნახევარ საათში ძლივს მოუგო 2-1 და ფინალში კვლავ მსოფლიოს გუნდური ჩემპიონის — ავსტრალიის წინაშე წარსდგა. აზიელებმა ამჯერად იმარჯვეს, 3-0 მოიგეს, მსოფლიოს ჩემპიონობა ექვსი წლის შემდეგ დაიბრუნეს და ყარაჩიდან ფეშავარამდე ლხენას მიეცნენ.

ამასობაში ჯაჰანგირმა გადაიფიქრა სარბიელთან გამოთხოვება. არა, ჩემპიონატებში გამოსვლას კვლავაც არ აპირებს, მაგრამ ითამაშა სუპერ-სერიაში, რომელიც ციურიხში გაიმართა, თუმცა ნახევარფინალამდეც ვერ მიაღწია.

ზღვისრეთი (Oceania, Pacific) მსოფლიოს მიყრუებულ კუთხედ კი წარმოგვიდგენია, მაგრამ თუ მის სპორტს მივადევნებთ მზერას, შეხედულება საფუძვლიანად შეგვეცვლება.

ზღვისრეთული სპორტის ეპიცენტრი, რაღა თქმა უნდა, ავსტრალიაა. ახლა იქ ზაფხულია, რაც იმას ნიშნავს, რომ ავსტრალიურ ბურთაობაში, ფეხბურთში და ორივე ყაიდის რაგბში არდადეგებია; სამაგიეროდ, კრიკეტი, გოლფი და ჩოგბურთი მრავლად იმართება.

# ზღვისრეთული მოზაიკა

17 იანვარს მელბურნში ჩოგბურთელთა დიდი სლემის პირველი ტურნირი — ავსტრალიის ღია პირველობა იწყება. მასპინძლები იმედოვნებენ, რომ შეჯიბრებაში ჩაებმება მონიკა სელეშიც, რომელსაც აპრილის შემდეგ არსად უთამაშია, მაგრამ დანით ბეჭში დაჭრილი იმდენად მოკეთებულა, რომ სრული დატვირთვით ვარჯიშობს. სელეშმა ავსტრალიური ტიტული ზედიზედ სამჯერ — 1991-93 წლებში მოიგო და თუ 10 იანვრამდე განაცხადს არ წარადგენს, მერე მხოლოდ Wild-Card-ის იმედად თუ იქნება, რასაც ორგანიზატორები ალბათ არ დაამადლიან. ავსტრალიის ღია ჩემპიონატამდე შტატების პირველობები გაიმართება, მანამდე კი ჰოპმანის თასის გათამაშებაა, რომელსაც პერთი უმასპინძლებს. ამ შეჯიბრში 16 ქვეყნის ქალ-ვაჟი გამოვა. ისინი ერთეულთა ორ და წყვილთა თითო შეხვედრიან მატჩებში გუნდურად შეეჯიბრებიან ერთმანეთს. პირველ ნომრად ჩეხეთი (კორდა — ნოვოტნა) არის განთესილი, მეორედ — აშშ (ჯ. მაკინროუ — მ.ჯ. ფერნანდესი).



კოლორიტული ზღვისრეთელი, 21 წლის ვესლი ტუილეფანო (ამერიკის სამოა), ვინაც შტუტგარტის მსოფლიოს ჩემპიონატზე ბადრო 27 მეტრსა და 84 სანტიმეტრზე ტყორცნა და მთელი 40 მეტრით ჩამორჩა გამარჯვებულს

პერთი დასავლეთ ავსტრალიის დედაქალაქია. ამ შტატის სანაპიროზე მდებარე ფრიმენტლში მიცურდა „ვითბრედის" გარსაქვეყნო რეგატის ფლოტილია. ეკიპაჟები ფრიმენტლში შეისვენებენ, იახტებს შეაკეთებენ და 6 იანვარს დაადგებიან მესამე ეტაპს, რომლის სიგრძე 3400 საზღვაო მილია და რომელიც მათ ახალი ზელანდიის ოქლენდში მიიყვანთ. ორი ეტაპის ჯამში წინაა ევროპის თანამეგობრობის 60-ფუტიანი ნავი „ინტრუმ ჯუსტიცია", რომელიც პირველი ეტაპის შემდეგ ოდენ მეხუთე ყოფილა. რაც შეეხებათ „ვინსტონსა" და „ლა-პოსტს", რომლებიც „ბრუქსფილდს" ჰორში მიეშველნენ, რის გამოც ჩამორჩნენ, ორგანიზატორებმა მათ დროები შეუსწორეს, რაც ოთხ სხვა იახტას არ მოეწონა და იჩივლა, თუმცა — ამაოდ. რბოლაში 14 იახტა მონაწილეობს; მათგან ორი უკრაინისაა.

პერთი ზღვისრეთის საკალათბურთო ცენტრიც ხდება. გაისად ამოქმედდება აზიის პროფესიული ლიგა, რომელშიც პერთის გუნდის გარდა ითამაშებენ კერნსის (ქვინზლენდი), სინგაპურის, მალაიზიის, ჰონკონგისა და ახალი ზელანდიის თითო კლუბიც. ამ წამოწყებით პეკინშიცა და ტოკიოშიც დაინტერესებულან. კლუბებს სამ-სამი უცხოელის ყოლის უფლება აქვთ.

ფორმულა-1-ის ავსტრალიის გრან-პრი 1985 წლიდან ადელაიდაში იმართება, მაგრამ ახლა გამოცხადდა, რომ სამხრეთი ავსტრალიის დედაქალაქს 1996 წლიდან ხუთი და ვინიცობაა კიდევ ხუთი წლით შეცვლის ვიქტორიის დედაქალაქი მელბურნი, სადაც რბოლის გამართვას ალბერტ პარკის ტბის გარეშემო ქუჩებში აპირებენ. რბოლის დაუნჯებით ვიქტორიაში ათასობით სამუშაო ადგილი შეიქმნება. სამაგიეროდ იზარალებს სამხრეთი ავსტრალია, რომელსაც გრან-პრი ყოველწლიურად 40 მილიონი ავსტრალიური დოლარით უმდიდრებდა ხაზინას.

რაგბში, როგორც აღვნიშნეთ, შესვენებაა, მაგრამ არ უქმობენ კავშირთა ოფისებში. ავსტრალიის ნაკრების მწვრთნელად კიდევ ორი წლით აირჩიეს სიდნეელი ბობ დვაიერი, რომელსაც ქვინზლენდელი მეტოქის — ჯონ კონოლის მომხრეთა იერიშის მოგერიება მოუხდა. დვაიერი მესამე მსოფლიო თასის ბოლომდე უხელმძღვანელებს „ვოლაბებს". მეზობელ ახალ ზელანდიაში „ოლ ბლექსის" მენეჯერ ნილ გრეისა და სელექტორ პიტერ სორბერნს ვერ აპატიეს ინგლისთან წაგება და მოხსნეს მიუხედავად იმისა, რომ წელს ნაკრებმა 1989 წლის შემდეგ საუკეთესოდ იასპარეზა. დამხობილთა ნაცვლად დაანინაურეს ვინმე კოლინზი და კოლინ მიდზი, რომელიც 1986 წელს მოხსნეს, როცა ნაკრების არალეგალურ ტურნეს უთავკაცა იმ დროის შერისხულ სამხრეთ აფრიკაში.

ამასობაში ბრიტანეთის ლიგის რაგბის გოლიათთა „ვიგანმა" თვალი დაადგა „ოლ ბლექსის" გარემარბ ვაინგა თუიგამალას და თუ 10 იანვრამდე დაიყოლიებს და გააპროფესიონალებს, ინგლისის თასის გათამაშებაშიც ათამაშებს, ახალი ზელანდიის რაგბი კი კიდევ ერთ ვარსკვლავს მოისაკლისებს.

ამ დღეებში ავსტრალია კრიკეტის მექა იქნება. კარგა ხანია, იქ ჩასულან ახალი ზელანდიისა და სამხრეთი აფრიკის ნაკრებები. ორივე მართავს ტურნეს, რომლის პროგრამაშიც ხუთდღიანი ტესტ-მატჩები, ოთხდღიანი შეხვედრები შტატების გუნდებთან და თითოდღიანი საჩვენებელი თამაშებიცაა, მაგრამ არანაკლებ ყურადღებას იპყრობს ერთდღიანი კრიკეტის მსოფლიო სერიალიც, რომელშიც მასპინძელი და ორივე სტუმარი მონაწილეობს. სამხრეთმა აფრიკამ შეჯიბრი რიხიანად დაიწყო და მასპინძლები მელბურნში დაამარცხა, მაგრამ მეორე წრეში ორივე თამაში წააგო და ახლა ზელანდიასთან ერთად 3 ქულა აქვს. ავსტრალიამ კი მერე სამი თამაში მოიგო და 6 ქულით ლიდერობს.

ყოველ ოთხ წელიწადში იმართება სამხრეთ ზღვისრეთის თამაშები. ბოლო ლონისძიება 1991 წელს პაპუა ახალ გვინეაში გაიმართა და მასპინძლებმაც გამარჯვებულებად კეთილშობილი თიხისგან დამზადებული მედლებით დაჯილდოვეს. ძირითადი თამაშების გარდა ზღვისრეთელები მინი-თამაშებსაც მართავენ იმისთვის, რომ პატარა ქვეყნებმა აიშენონ ბაზები და მასპინძლობა ისწავლონ. ამგვარ შეჯიბრებას 1981 წელს უმასპინძლა სოლომონის კუნძულებმა, 1985 წელს — კუკის კუნძულებმა, 1989 წელს — ტონგამ, წელს კი, 5-16 დეკემბერს — ვანუატუმ, რომლის მოსახლეობაც 100 ათასია. დედაქალაქ პორტ-ვილაში 15 ქვეყნის ათლეტები ერთურთს შეეჯიბრნენ მძლეოსნობაში, ფეხბურთში, კრივში, ნეთბოლში, ჩოგბურთსა და გოლფში. ფეხბურთის ფინალში ტაჰიტიმ დაამარცხა ფიჯი 3:0, მძლეოსნობაში ახალმა კალედონიამ და ფიჯიმ იმარჯვეს, კრივში — დასავლეთმა სამოამ და ვანუატუმ, ჩოგბურთში — კალედონიამ და ტაჰიტიმ, გოლფში — ფიჯიმ და პაპუა ახალმა გვინეამ, ნეთბოლის ფავორიტებს — კუკის კუნძულელებს კი ძირითადი შემადგენლობის ექვსი წევრი აკლდათ — ორსულობის გამო. კუკის კუნძულები, რომლის მოსახლეობაც 30 ათასია, ნეთბოლში მსოფლიოს მეხუთე გუნდია.

## აქეთური, იქითური

ბორის ბეკერი, რომელიც [illegible] შემდეგ პირველად აღმოჩნდა ჩოგბურთელთა საუკეთესო ათეულს მიღმა, ექვსთვიანი თანამშრომლობის შემდეგ დაუბრა მწვრთნელ ერიკ იელანს. იელანი ბოლო სამი წლის მანძილზე ბეკერის მეოთხე მოძღვარი იყო. ბეკერმა „დიდი სლემის თასის" პირველსავე წრეში წააგო სამხრეთაფრიკელ ფერეირასთან და განაცხადა, რომ ორი თვით თავს ანებებს ჩოგბურთს; ამასობაში ქრისტეშობაზე კიცბიუელში ჭვარს დაიწერს, მერე კი ცნობილი „საჩოგბურთო აკადემიის" შეფის, ნიკ ბოლეტიერის შეგირდი გახდება.

*

ავტომობილიზმის საერთაშორისო ფედერაციამ განიხილა სენა — ერვაინის საქმე. იაპონიის გრან-პრის გათამაშებისას ახალბედა ირლანდიელი რამდენჯერმე განზრახ შეეჯახა ბრაზილიელს, რის გამოც სენა რბოლის შემდეგ მიეჭრა ერვაინს და სცემა. ავტორბოლის მამებმა ჩემპიონი გაამართლეს — აქაო და პროვოცირებას ვაჟკაცურად გაუძლოო და ოღონდ ორი რბოლით პირობითი დისკვალიფიკაცია აკმარეს, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ სენა ექვსი თვის მანძილზე ჭკუით მოიქცევა, არაფერი დაემუქრება.

*

გამოცხადდა, რომ ჯილდოდ მილიონ დოლარს მიიღებს ის მოთხილამურე, ვინც ახლახანს დაწყებულ ალპურ სეზონში მოიგებს ხუთ სწრაფდაშვებას — ვალგარდენაში, გარმიშ-პარტენკირხენში, კიცბიუელში, ვალდიზერში და ვენგენში. ასეთი რამ ერთხელ უკვე მომხდარა: ავსტრიელ ფრანც კლამერს ხუთივეგან გაუმარჯვია, მაგრამ მაშინ სად იყო მილიონი დოლარები?!

*

მეგოლფე პოლ ეიზინგერს, ვინაც წელს ამერიკელ პროფესიონალთა ასოციაციის ჩემპიონატი მოიგო, ხოლო ამერიკულ ტურში მოგროვილი ჰონორარით მხოლოდ ზიმბაბველ ნიკ პრაისს ჩამორჩა, მარჯვენა ბეჭში ლიმფომა აღმოაჩნდა. კიბოს ამ ფორმისგან განსაკურნებლად მეგოლფეს ქიმიური თერაპია და დასხივება უნდა ჩაუტარონ, რის გამოც ექვსი თვე გაუცდება.

*

ფლორიდის ქალაქი ჯექსონვილი დღეიდან [illegible] ამერიკული ბურთაობის ეროვნული ლიგის ბოლო, 30-ე ფრანჩაიზს, ანუ გუნდის ყოლის უფლებას. ჯექსონვილმა, რომელიც 1995 წლიდან „იაგუარებს" გამოიყვანს, აჯობა სენტ-ლუისს, ბალტიმორსა და მემფისს, რომელთაგან თითოეულს შეჯიბრება 150 მილიონი დოლარი დაუჯდა. მანამდე ბოლოსწინა ფრანჩაიზი შარლოტმა დაითრია.

*

ასი თამაშის წაუგებლად გამართვის შემდეგ ბოლოსდაბოლოს დამარცხდა კუბის კეტბურთელთა ნაკრები. კარიბეთის თამაშების დამთავრებისთანავე პუერტო-რიკოზე, სან-ხუანში, 20 ათასი მაყურებლის წინაშე კუბელი „მოყვარულები" 4:3 დაამარცხეს იქაურმა „სენატორებმა", რომელთა რიგებშიც აშშ-ის უმთავრესი პროფესიული ლიგების რამდენიმე კეტბურთელიც თამაშობდა.

*

ფიბა-მ გამოაცხადა, რომ „ჰიუსტონ როკიტსის" ვარსკვლავი ჰაკიმ ოლაჯუონი 1996 წლის ოლიმპიადაზე ვერ ითამაშებს აშშ-ის კალათბურთელთა ნაკრებში, ვინაიდან ოდესღაც უკვე უთამაშია მშობლიური ნიგერიის სახელით. ჰაკიმმა აშშ-ის მოქალაქეობა წლეულს აპრილში მიიღო.

*

ჰონკონგის სამეფო ჟოკეი-კლუბმა ცხრათვიანი დისკვალიფიკაცია მისცა ავსტრალიელ დარენ ბიდმანს იმის გამო, რომ თავისს ბედაურს ვითომც განგებ ბორკავდა, სხვებს არ გაასწროსო. ბიდმანს 1990 წელს ერთობ საპატიო „მელბურნის თასი" მოუგია.

აქეთური, იქითური

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით და პარასკეობით
ინდექსი 66441
რაიონებისთვის გაზეთის ფასი სახელშეკრულებო

რედაქციის მისამართი:
თბილისი 77, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი,
IV სართული. ტელეფონი: 39 48 29

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსში; ხომარაულის 29

დამფუძნებელი:
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა
„მარდი"

რედაქტორი ზურაბ ფოცხვერი[illegible]

სარედაქციო კოლეგია: გია ახალაძე, ილ[illegible] ბაბუნაშვილი, ზაალ გიგინეიშვილ[illegible] (რედაქტორის მოადგილე), ზურაბ მეძველი[illegible] მამუკა ჩიხლაძე (პასუხისმგებელი მდივანი)